# საერთო გაზეთი

№40 (545) • 20 ნოემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი





## „სახელმწიფო გადატრიალების კანტორა“, რომელიც რუსთაველზე, პარლამენტის წინ უკვე მეექვსე თვეა „ოფიციალურად“ არსებობს, უნდა დაიხუროს!












## თვითონ ოპოზიცია იტყუება, როცა ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობა მოატყუა

## „შეიკრიბეთ ყველა ერთად? ჰოდა, გამოქანდით ახლა ყველა ერთად და დააფრინდით სააკაშვილს ერთ ადგილზე“

# რასაც ოპოზიცია აკეთებს, ეს არის ხელისუფლების ძალადობრივი გზით მიტაცების მცდელობა

## „სახელმწიფო გადატრიალების კანტორა“, რომელიც რუსთაველზე, პარლამენტის წინ უკვე მეექვსე თვეა „ოფიციალურად“ არსებობს, უნდა დაიხუროს!



ცოტა ხნის წინათ ოპოზიცია განგაშს ტეხდა — ბიძინა ივანიშვილი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას აპირებს და ეს ამბავი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათო.

ახლა თვითონ მოითხოვენ ამ რიგგარეშე არჩევნებს, ოღონდ ივანიშვილს არ ვენდობით და არჩევნები ჩვენ თვითონ უნდა ჩავატაროთო.

ვიცით ჩვენ თქვენს მიერ ჩატარებული არჩევნები, ნაცებო და



ევრონაცებო, კარგად გვახსოვს თქვენს მიერ გატაცებული საარჩევნო ყუთები, თქვენს მიერ ათასობით ჩაყრილი ყალბი ბიულეტენები, თქვენი სომხური კარუსელები, სპეცნაზის ავტომატებქვეშ დატერორებული ადამიანები.

ისევ ეს გინდათ გაიმეოროთ, ისევ იქ, იმ კოშმარში გინდათ დაგვაბრუნოთ, ისევ თქვენ გინდათ აგირჩიოთ, რომ მერე ჩვენს გვამებზე იაროთ, ქუჩებში გვხოცოთ, ციხეები უდანაშაულო ადამიანებით გაავსოთ, გვძარცვოთ, დაგვაყაჩაღოთ...

არ მოხდება ეს! გამორიცხულია!

ერთ რჩევას მოგცემთ და თქვენთვისვე სჯობია თუ დამიჯერებთ: დამშვიდდით, დაოკდით თქვენ, ნუ ცდით ქართველი ხალხის მოთმინებას, თორემ თქვენი უტიფრობით, თქვენი უნამუსობით გამწარებული ქართველი ხალხი თუ გამოგივარდათ, ვნახავ თქვენს ბუმბულს, თქვენს ბუნდღას გაშლილს, გაფანტულს ველადა!

ნაცობო და ევრონაცებო, ქართულ ოცნებას უმადლოდეთ, თუ აქამდე მოაღწიეთ, ქართული ოცნების ხელისუფლებას უმადლოდეთ, მხრებზე თავები თუ შეგრჩათ, ბიძინა ივანიშვილის დიდსულოვნებას და კეთილშობილებას უმადლოდეთ, ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება და საშუალება რომ გაქვთ, მაგრამ შეიძლება დადგეს ისეთი მომენტი, რომ ვერც ბიძინა ივანიშვილმა გიშველოთ, ვერც „ქართულმა ოცნებამ“, ვერც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ და ვერც თქვენმა უცხოელმა „პადდელნიკებმა“.

ასე რომ ცეცხლს ნუ ეთამაშებით თქვენ, თორემ არჩევნებიც უკან მოგრჩებათ და ის უზრუნველი ყოფაც, რომელმაც ასე გაგაზულუქათ და გაგათავხედათ.

პოლიტიკოსები ვართო, კი იძახით, მაგრამ სინამდვილეში პარაზიტები ხართ თქვენ და ქართველი ხალხის იარებით დაფარულ სულსა და ხორცზე პარაზიტობთ.

ხომ ბევრი ხართ მანდ, ე.წ. ოპოზიციურ ერთობაში, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა ამდენ სუბიექტში ერთიც ვერ მოვიძიე ისეთი, რომელზეც უყოყმანოდ შეიძლება თქვა: — აი, ნამდვილი პოლიტიკოსი, აი, ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარი, აი, ქვეყნისთვის თავდადებული და თავგანწირული ადამიანი, უმწიკვლო წარსულით, კრისტალური ბიოგრაფიით.

ერთი ვერ ვნახე ისეთი თქვენში, რომელსაც ქართველი ხალხის წინაშე რაღაც დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის სახელით ბევრს ლაპარაკობთ, თქვენ არ ხართ ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი, თქვენ არ ხართ ქართველი საზოგადოების რჩეულები, თქვენ არ გამოხატავთ ქართველი ერის სულისკვეთებას.

უმეტესობა თქვენგანი ხშირ შემთხვევაში უცხო ქვეყნების აგენტურას უფრო ჰგავს ვიდრე ქართველ პოლიტიკოსს და თქვენ ამით თავს იწონებთ კიდევაც, თქვენ ამით აშანტაჟებთ და ძალადობთ ქვეყანაზე — სადღაც, რომელიღაც უცხო სახელმწიფოს ადმინისტრაცია მხარს გვიჭერს, სადღაც, რომელიღაც პოლიტიკური ჯგუფები ჩვენი მოკავშირეები არიანო — გვიმტკიცებთ და არც გრცხვენიათ, არც გეთაკილებათ ამის თქმის.

**ვინ ხართ თქვენ — ქართველი პოლიტიკოსები თუ პოლიტიკური დესანტი, სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლები, რომლებიც საქართველოს კი არა უცხო სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურებით?**

თქვენ თქვენი საქმიანობით საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტს აყენებთ ეჭვქვეშ და იმ მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების დისკრედიტაციას ახდენთ, რომლებიც საქართველოს კი არა ვითომ პერსონალურად თქვენ გიჭერთ მხარს, როგორც პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებს, როგორც დემოკრატიის გარანტებს.



თქვენ ხართ, ნაცებო და ევრონაცებო, დემოკრატიის გარანტი, თქვენ, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში ფეხქვეშ თელავდით და აუპატიურებდით დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს?

**თქვენ ხართ, ნაცებო და ევრონაცებო, პროდასავლელი პოლიტიკოსები, თქვენ, რომლებიც რუსებთან გარიგებაში შეხვედრით და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი უფეშქაშეთ, მანამდე კი ქართული ეკონომიკის თითქმის ყველა ბერკეტი რუსებს ჩაუგდეთ ხელში?**

დასავლეთით რომ მანიპულირებთ, დასავლეთის სახელით რომ სპეკულირებთ, რომელია თქვენში პროდასავლელი, როცა თითოეულ თქვენგანს ევროპული კოსტუმების ქვეშ რუსული „პაგონები“ უბრჭყვიალებს?

ვის ატყუებს თქვენ, ვის აყრით თვალში ნაცარს?

ყველა, ერთის წინააღმდეგ! ყველა — მინუს ერთი! — ეს ლოზუნგები რომ წაგიმძღვარებიათ წინ, თქვენ გგონიათ ქართველმა ხალხმა არ იცის, რომ ის ერთი, საქართველოსთვის გაკეთებული საქმეებით, თქვენ, ყველას, ერთად აღებულს, გადაგწონით.

**ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი ივანიშვილი გაცილებით მეტია, ასჯერ და ათასჯერ მეტია, ვიდრე თქვენ, ყველა ერთად აღებული.**

**ის აშენებდა და აშენებს, თქვენ ანგრევდით და ანგრევთ. მას შემოჰქონდა, თქვენ გაგქონდათ და გაგაქვთ.**

მინუსზე და გამოკლებაზე თუ მიდგა საქმე, თქვენ ყველა რომ გამოგაკლოთ საქართველოს, ამით ამ ქვეყანას არაფერი დააკლდება.

— პროპორციული არჩევნები გვინდა! პროპორციული სისტემით თუ არ ჩატარდება არჩევნები, ცულს მოვიტანთ ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა და ამ ქვეყანას ავაყირავებთო — იქადნებიან მომიტინგეები, თუმცა რაღა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.





მომიტინგეები — ნაცები და ევრონაცები იმუქრებიან მომიტინგეების პირით.

**მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამათ არჩევნები საერთოდ არ აინტერესებთ — არც შერეული, არც პროპორციული, არც მაჟორიტარული.**

**არჩევნები კი არა ამათ ქვეყნის არევა, ქაოსი და დესტაბილიზაცია უნდათ, რადგან ფიქრობენ, რომ არეული სიტუაციით ისარგებლებენ და ისევ მობრუნდებიან ხელისუფლებაში.**

მათ იციან, რომ არჩევნების გზით, ვერც შერეულით და ვერც პროპორციულით, ისინი გამარჯვებას ვერ მიაღწევენ. ეს გამორიცხულია! მათ ამის არანაირი შანსი არ აქვთ.

გამომდინარე აქედან, ისინი ცდილობენ შექმნან უკიდურესად დაძაბული, ფეთქებადსაშიში სიტუაცია, ამ სიტუაციის ფონზე დააშანტაჟონ ხელისუფლება მოსალოდნელი დესტაბილიზაციით და აიძულონ იგი წავიდეს დათმობებზე, მათ შორის ისეთ დათმობებზე, რომელიც მათი უპირობო გამარჯვების გარანტი იქნება.

**როგორც ისინი მოქმედებენ და რასაც ისინი მოითხოვენ, ამას, ცხადია, არავითარი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან — სინამდვილეში ეს არის ძალადობა და ძალადობრივი გზით ძალაუფლების მიტაცების მცდელობა.**

ფაქტობრივად, ეს არის „ვარდების რევოლუცია“-№2, ოღონდ გაცილებით უტიფარი და უხამსი ფორმით, ვიდრე პირველი იყო.

ზოგადად, ნაცებს 2012 წლის ოქტომბერში დამარცხების შემდეგ ავადმყოფური, მანიაკალური ჟინი აქვთ როგორმე გაიმეორონ 2003 წლის ნოემბრის ამბები.

მთელი ეს შვიდი წელი ეს არის დროში გაჭიმული და გაწელილი რევანშისტული გამოხტომების უწყვეტი ჯაჭვი.

ამ შვიდი წლის განმავლობაში პერიოდულად ჩნდებოდა „ვარდების რევოლუციის“ თარგზე მოჭრილი მცირე თუ დიდი მასშტაბის იმიტაციები, ცალკეული სცენები თუ დეტალები „ვარდების რევოლუციის“ ძველი სცენარიდან.

ნაცმოძრაობა თავის განაყოფებთან ერთად დღეს ცდილობს ყველაფერ ამას ერთად მოუყაროს თავი და 2020 წელი უკან, 2019 წელში გადმოიტანოს და წელსვე მისცეს ფინალი ამ შვიდი წლის განმავლობაში გაჭიმულ პროცესს.

მაინცდამაინც წელს, რადგან, 2020 წელი ისედაც საარჩევნო წელია და რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა ალოგიკური იქნება.

მათ იციან, რომ ხელისუფლება დათმობაზეც რომ წავიდეს და რიგგარეშე არჩევნები რომ დანიშნოს, თუნდაც პროპორციული სისტემით, თუ ეს არჩევნები გაუყალბებლად ჩატარდება, ისინი ვერ გაიმარჯვებენ. ამიტომ ითხოვენ ნაცები და ევრონაცები დროებითი გარდამავალი მთავრობის შექმნას, ცსკოს შემადგენლობის შეცვლას. იგულისხმება, რომ დროებით მთავრობაშიც და ცესკოშიც უმრავლესობით თვითონ იქნებიან წარმოდგენილი და არჩევნებს ისე გააყალბებენ, როგორც მოესურვებათ, მათ კი არჩევნების გაყალბების უდიდესი გამოცდილება აქვთ.

აი, ეს გეგმა გააჟღერეს ამბოხებულმა ნაცებმა და ევრონაცებმა კვირას, 17 ნოემბერს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე.

**როგორც ვთქვით, აქციაზე მთავარ თემად წინ წამოწეული არჩევნების საკითხი არის მხოლოდ საბაბი. სინამდვილეში აქციის ორგანიზატორებს ქაოსის, უმართავი სიტუაციის, სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის, დესტაბილიზაციის პროვოცირება სურთ.**

**ამ ძალებისგან მსგავსი ქმედებები არ ახალია, ძველია, თუმცა მაინც არის ერთი სიახლე, რომლის ანალოგი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ძნელად თუ მოიძებნება.**

**აქციის ორგანიზატორები, ითხოვენ რა პარლამენტის მიერ კანონის სრული დაცვით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო გადატრიალების გეგმის (პროექტის) ლეგიტიმაციას და კანონის ფარგლებში მოქცევისკენ მოუწოდებენ, რითაც ცდილობენ ხელისუფლება თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თანამონაწილედ და პარტნიორად აქციონ.**

**აი, ეს უნდა გაითვალისწინოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ და არ უნდა დაუშვას 14 ნოემბრის გადაწყვეტილების რევიზია, რაც უმძიმესი შეცდომა იქნება და რაც მას შეიძლება ბუმერანგივით მოუტრიალდეს უკან.**

ესენი შინაური ოკუპანტები არიან, რომლებიც 1990 წლიდან მოყოლებული დროგამოშვებით გვიპყრობენ.

როდის უნდა დაიხუროს რუსთაველზე, პარლამენტის წინ გახსნილი „სახელმწიფო გადატრიალების კანტორა“, რომელსაც შტატიანი თანამშრომლები ჰყავს და სადაც ადამიანები, როგორც სამსახურში, ისე დადიან, აგერ უკვე მეექვე თვეა.

**ამ „კანტორამ“ თავისი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით უკვე მიაყენა ქართულ სახელმწიფოს უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი, რაც საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე უმძიმესად აისახა.**

**ისინი აცხადებენ, რომ არ აპირებენ აქციების შეწყვეტას, რაც ავტომატურად ნიშნავს ქვეყნის ნგრევის და სახელმწიფოს დასუსტების გაგრძელებას.**

**ვფიქრობთ, გამოვხატავთ საქართველოს მოახლეობის უმრავლესობის სურვილს, თუ ვიტყვით, რომ აუცილებელია ობიექტური სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მიეცეს ნაცმოძრაობის და მისი სატელიტების მიერ მართულ ამ პროცესებს, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს მუდმივი რყევების და არასტაბილურობის რეჟიმში ამყოფებს.**

**ეს „სახელმწიფო გადატრიალების კანტორა“ სანამ არ დაიკეტება და მისი ხელმძღვანელები იქ არ ამოყოფენ თავს, სადაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების ადგილია, ამ ქვეყანაში არც მშვიდობა იქნება, არც დემოკრატია და არც სახელმწიფო.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

---

**მინაწერი:** ქურდული მენტალიტეტის გამოვლინებად მიგვაჩნია ოპოზიციის ლიდერების მიერ ქურდული ტერმინების მოშველიებით გაჟღერებული ბრალდებები **ბიძინა ივანიშვილის** მისამართით.

რას ნიშნავს „ბიძინა ივანიშვილმა გადაგვაგდო“, „ბიძინა ივანიშვილმა სიტყვა გატეხა“ და ა.შ.

**ბიძინა ივანიშვილს არც სიტყვა გაუტეხია, ბოდიში ჟარგონისთვის და არც არავინ გადაუგდია, არც პერსონალურად მიუღია რაიმე გადაწყვეტილება — ეს გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა, მიიღო აბსოლუტურად თავისუფალ გარემოში და მას უკვე კანონის ძალა აქვს, რომელსაც ყველა პოლიტიკური სუბიექტი უნდა დაემორჩილოს.**

არ არსებობს არცერთი არგუმენტი, არ არსებობს არცერთი დამამტკიცებელი ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილი რაიმე სახის ზეწოლას ახდენდა დეპუტატებზე, რის გამოც დადგა ის შედეგი რაც დადგა.

ასე რომ პერსონალურად ბიძინა ივანიშვილის დადანაშაულება 14 ნოემბერს მომხდარ ამბებში, ეს არის სრული აბსურდი, ცილისწამება და შორს გამიზნული პროვოკაცია.

**ვ.ხ.**



# ეს არ არის ბრძოლა საარჩევნო სისტემის შესაცვლელად. ეს არის ბრძოლა კრიზისის და დესტაბილიზაციის შესაქმნელად

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, რამდენიმე დღის წინ, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩააგდო. ზოგადად, რა სარგებელი აქვს საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლას მაშინ, როცა პარტიების ნაცვლად იმიტაციები გვაქვს, თვითმმართველობა კი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამას დამატებული პროპორციული საარჩევნო სისტემით, რა ვითარებას ვიღებთ?**

— ჩვენ, პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვართ. ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ერთიდაიგივე პრობლემა შეინიშნება — მრავალპარტიულობის კრიზისი, ზოგადად, პარტიების კულტურის არარსებობა. მაგალითად, რუსეთში მრავალპარტიული პარლამენტი კი არის, მაგრამ რეალურად, ეს სიმრავლე ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების დაბალანსებას და ა.შ. რეალურად, იქ, ერთპარტიული მმართველობაა. მეტ-ნაკლებად ანალოგიური სიტუაციაა უკრაინაში. იქ, პარტიები უფრო დაპირისპირებულნი არიან, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ ზელენსკიმ გაიმარჯვა და მერე, მისმა პარტიამ. პარტიები არც ჩვენთან არის მყარი სახით ჩამოყალიბებული. საქართველოში რამდენი მმართველი პარტიაც დამარცხდა, ყველა წავიდა. ამ მხრივ, გამონაკლისი მხოლოდ „ნაცმოძრაობაა“. ძალაუფლების გარეშე პარტიებს არსებობა არ შეუძლიათ. სხვა შემთხვევებში, პარტია ძალაუფლების გარეშე იდეოლოგიის გარშემო არსებობს. ჩვენთან, პარტია ძალაუფლების გარშემო არსებობს. მას, ძალიან ხშირად, იდეოლოგიური დეფიციტი აქვს. კი, ზვიად გამსახურდიას ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს იდეა, ეს იდეა იმ პირობებში მთელი ქვეყნისთვის მიზან-ვექტორი გახლდათ. ხოლო დეტალებში დამუშავებული იდეოლოგია თავისი ეკონომიკით, სოც.პოლიტიკით და ა.შ. ზვიადის დროსაც არ იყო იმიტომ, რომ მაშინ ქართულ პოლიტიკას ამდენი რესურსი არ ჰქონდა. ეს არც მერე მომხდარა. დღესაც, პოლიტიკური პლატფორმები, პროგრამები ერთმანეთს მჭადებივით ჰგვანან. გარდა პოსტსაბჭოთა რეალობისა, სახეზეა მეორე პრობლემაც, კერძოდ, საარჩევნო სისტემის პრობლემა. არაერთხელ გვსმენია: რას ვერჩით ამერიკას, დემოკრატიული არ არის? — რა თქმა უნდა, არის, მაგრამ იქ, მაჟორიტარული სისტემაა. მაჟორიტარიზმზე, ამერიკა, სრულიად შეგნებულად წავიდა. ამერიკელებმა გააცნობიერეს, რომ პროპორციული სისტემა უფრო პარტიების მიმართ არის სამართლიანი. პარტია მანდატს რეიტინგის მიხედვით იღებს, მაგრამ მეორე მხრივ, პარლამენტში პარტია, პროპორციული სისტემის დროს, სიით შედის. მოსახლეობა იცნობს ამ სიის პირველ ხუთეულს, ჰა, ჰა, ათეულს, დანარჩენი სრულიად უცნობი სახელებია. პარლამენტის პოლიტიკურ გუნდში ასეთი ანონიმურობა რომ მოესპოთ, ამერიკელებმა მაჟორიტარული სისტემა აირჩიეს, რათა თითოეული პოლიტიკოსი პასუხისმგებელი ყოფილიყო ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის წინაშე, რომელმაც იგი აირჩია. გარდა ამისა, ამერიკა, ზოგადად, პარტიების დასუსტებაზე წავიდა, პროპორციულ სიაში გადამწყვეტი როლი პარტიის თავმჯდომარეს ან პირველ პირს აქვს, ვინც სიას ადგენს. სიის ყველა წევრი, ფაქტობრივად, მის წინაშე აგებს პასუხს. მაჟორიტარულ სისტემაში კი პოლიტიკოსი პასუხისმგებელია მათ წინაშე, ვინც იგი აირჩია. ამდენად, თუკი პარტიას სიის შედგენის შესაძლებლობას გამოაცლი, ეს მისი დასუსტებაა. პარტიის დასუსტების კიდევ ერთი მომენტი შემდეგშია: ამერიკამ საპარლამენტო რესპუბლიკა არ აირჩია იმიტომ, რომ ფაქტობრივად, აღმასრულებელ ხელისუფლებას პარტიები წარადგენენ. ამ უკანასკნელსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის დამოუკიდებლობის პრინციპი ირღვევა. სიტყვიერად ვიძახით: მთავრობა პარლამენტისგან დამოუკიდებელიაო, მაგრამ რეალურად, ეს აბსურდია, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკაში მთავრობას პარლამენტი აყალიბებს. ხელისუფლების შტოების დამოუკიდებლობისთვის ამერიკამ მთავრობის დაბალანსებისა და კონტროლისთვის საპრეზიდენტო მმართველობა აირჩია. კერძოდ, ხალხი ირჩევს როგორც პარლამენტს — საკანონმდებლო ორგანოს ასევე, მთავრობას, კერძოდ, მის პირველ პირს — პრეზიდენტს. მთავრობა, აბსოლუტურად, დამოუკიდებლად ყალიბდება, მას პრეზიდენტი აყალიბებს. პარლამენტში პარტიებს შორის რაც არ უნდა მოხდეს, ამით ქვეყანა არ ჩერდება — მთავრობა ჩამოყალიბებულია და მუშაობა მიდის. ასე, რომ ამერიკამ მთავრობაზე პარტიების გავლენა შეამცირა, სამაგიეროდ მას კანონებზე გავლენა მიანიჭა. ჩვენთან, კანონი მთავრობას შემოაქვს, რაც საერთოდ გაუგებრობაა. ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება კიდევ უფრო აღრეულია. თუ კანონს მთავრობა ქმნის, მაშინ პარლამენტი რაღად გვინდა, მხოლოდ ბეჭედის დამრტყმელად?! ამერიკულ სინამდვილეში კანონებს პარლამენტი ქმნის და ამით მთავრობაზე ახდენს გავლენას. მთავრობას კანონებთან ხელი არ მიუწვდება. ასე, რომ ამერიკამ, ხელისუფლების ეს ორი შტო, მაქსიმალურად, გამოჰყო ერთმანეთისგან, პარტიების გავლენა შეამცირა და დამოუკიდებლობა მიანიჭა როგორც საკანონმდებლო ხელისუფლებას, ისე მთავრობას. შედეგად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — 200-ზე მეტი წელია, რაც ამერიკა არსებობს და მათ კონსტიტუცია, თითქმის, არ შეუცვლიათ. ამ კონსტიტუციის შედეგიც არის, რომ ამერიკა დგას მყარად ფეხზე, როგორც უძლიერესი ქვეყანა. ჩემი აზრით, იგი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და საპარლამენტო რესპუბლიკაზე არ წავიდა იმიტომ, რომ ამერიკაში არ იყო პარტიების კულტურა, განსხვავებით ევროპისგან, სადაც პარტიები იქამდე ჩამოყალიბდა, სანამ რევოლუციებს მოახდენდნენ. ამდენად, მისთვის ხელსაყრელი არ იყო საპარლამენტო რესპუბლიკისკენ წასვლა, პარტიების სახით ამის რესურსი არ ჰქონდა. აღნიშნული რესურსი, პარტიების სახით, არც საქართველოს აქვს. რატომ დავაღირეთ თავი და გადავეშვით საპარლამენტო რესპუბლიკისკენ, გაუგებარია. დავიჟინეთ საპრეზიდენტო რესპუბლიკა დიქტატურას აჩენსო. რატომ ამერიკაში არ გააჩინა დიქტატურა? — იმიტომ, რომ იქ, საპრეზიდენტო რესპუბლიკა კარგად არის აწყობილი. თავის დროზე, გამსახურდიას და შევარდნაძის პერიოდში ხარვეზიანი საპრეზიდენტო სისტემა გვქონდა — პრეზიდენტს დაუბალანსებელი და დიდი ძალაუფლება გადაეცა. კანონშემოქმედებაში საკუთარი სიზარმაცის გამოსწორება მერე, ასე ვცადეთ: მოდი, რადგან პრეზიდენტი დიქტატორი გამოდის, საპარლამენტო რესპუბლიკისკენ წავიდეთო. რა, საპარლამენტო რესპუბლიკა არ იყო ჰიტლერის დროს? რა დააკლდა დიქტატურას? ანუ, ჩვენ, დაუფიქრებელი პოლიტიკური ცხოვრება გვაქვს, გაუაზრებელ ნაბიჯებს ვდგამთ. სწორედ ამის შედეგია რომ ახლა, პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით კრიზისი შეგვექმნა. როგორც კი რეალურად, პროპორციულ არჩევნებამდე მივალთ, კიდევ უფრო დიდი კრიზისი შეიქმნება იმიტომ, რომ დაიწყება ადგილების გაყიდვა. რუსეთში ჟირინოვსკი სწორედ ამით არის ცნობილი — ფულიანი ხალხი, ანაზღაურების საფასურად, სიაში შეჰყავს. პროპორციულ სისტემაშიც ფული კეთდება. აქ, გაიძახიან: მაჟორიტარი ადგილზე ფულს აკეთებსო. რა მნიშვნელობა აქვს სიით გააკეთებს პოლიტიკოსი ფულს თუ ადგილზე. პოლიტიკოსისთვის ის მაინც არ ივარგებს. საქმე იმაშია, რომ ხარვეზის გამოსწორებას მის არსში არ ვეძებთ.





**— ოპოზიცია ვადამდელი პროპორციული არჩევნების ჩატარებას და დროებითი მთავრობის შექმნას ითხოვს.**

—ეს მოთხოვნა, ერთის შეხედვით, ნაკლებად ლოგიკურია თავად ოპოზიციის ინტერესებიდან გამომდინარე. 2012 წლიდან მოყოლებული ოპოზიციამ ვერცერთი არჩევნები ვერ მოიგო. მიზეზი ის არის, რომ „ნაცმოძრაობა“ ხალხისთვის მიუღებელია. ახლა, მათ სურთ არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდეს. უდავოა, რომ „ნაცები“ ისევ უმცირესობაში აღმოჩნდებიან, „ქართული ოცნება“ კი კვლავ გაიმარჯვებს. „ნაცმოძრაობა“ ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება“ გამარჯვების მიუხედავად ვერ შეძლებს მთავრობის დაკომპლექტებას. „ნაცებს“ უკვე გაცხადებული აქვთ, რომ მათთან არ ითანამშრომლებენ. თუ „ქართული ოცნება“ ხმების დიდ რაოდენობას მიიღებს, ოღონდ, არასაკმარისს იმისათვის, რომ მთავრობა დააკომპლექტოს, მათთან თანამშრომლობას არავინ აპირებს, ე.ი. ქვეყანაში სამთავრობო კრიზისი შეიქმნება. ყველაფერი, რაც ხდება ამ კრიზისის მომზადებაა. ესე იგი, ეს არ არის ბრძოლა გამარჯვებისთვის, არამედ ეს ბრძოლაა კრიზისის შექმნისთვის, თორემ, რომ ვერ გაიმარჯვებენ, ძალიან კარგად იციან.

**— ბატონო რამაზ, კვირას მიტინგზე საკმაოდ ბევრი ხალხი მივიდა, ოპოზიციამ სამოქმედო გეგმა განაცხადა და აღნიშნა, რომ პარლამენტის პიკეტირებას აპირებენ, რაც განახორციელეს კიდეც. როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?**

- პროგნოზზე თავის გამოდება მიჭირს, მიჭირს ხელისუფლების მოქმედების პროგნოზი. გაუგებარია, რატომ ვერ იზრუნეს დაპირებული კანონის გატანაზე და რატომ დაამატეს თავიანთ არასახარბიელო იმიჯს სიტყვის გამტეხის სახელი. ახლა რომ უკან დაიხიონ, ეს ისევ ოპოზიციის გამარჯვებად ჩაითვლება. რომ შეუტიონ მოპიკეტეებს, რადგან მიშას მიღებული კანონით ადმინისტრაციული შენობების პიკეტირება დანაშაულია, შეტევაში შეიძლება იმდენი შეცდომა დაუშ-





6 გვ. →

# 2019 წლის 14 ნოემბერი სახელმწიფოებრივად ისეთივე მნიშვნელოვანი თარიღია, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერი – „ნაცმოძრაობის“ დამარცხების დღე!

*გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმა, ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩავარდა და პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლა. როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?**

— მავანი, დაინტერესებულია, რაც შეიძლება სწრაფად მოშალოს ის, რასაც ქართული სახელმწიფო ჰქვია. ხომ ხედავთ, არ ისვენებენ, ხდება იგივე, რაც 2003 წელს. მართალი გითხრათ, ამ თემაზე პირველად თქვენთან ვსაუბრობ გამომდინარე იქედან, რომ ბოლო რამდენიმე დღეა ლევან აკინის ფილმის — „და ჩვენ ვიცეკვეთ“ გარემოებებზე ვმუშაობ, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საგანია. დამნაშავე პირებს პასუხი არ უგიათ. არასრულწლოვან ბავშვთა მშობლები დამნაშავეების დასჯას ითხოვენ, რომელთაც მათი შვილები მოტყუებით, თაღლითურად გადაიღეს. ეს საკმაოდ მზაკვრული ჩანაფიქრია. რასაც ლევან აკინი თავის სატანისტურ ჯგუფთან ერთად აკეთებს, სწორედ ეს არის ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და ერისთვის ყოვლად შეურაცხმყოფელი პროცესი. გადავწყვიტე ბოლომდე ვიბრძოლო. კიდევ ერთი განცხადებით მივმართე შსს-ს და იმედი მაქვს ნაყოფი იქნება. თაკო, ამ თემით შემთხვევით არ დამიწყია საუბარი. არავის ეგონოს, რომ ის რაც დღეს ხდება ბოლოს განვითარებულ მოვლენებთან კავშირში არ არის. ეს ყველაფერი — ეკლესიის თემა იქნება, ამ ფილმის ჩვენება თუ პარლამენტთან განვითარებული მოვლენები, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ერთი წამით არ მშორდება ფიქრი იმასთან დაკავშირებით რა პროცესებიც, ამჟამად, პოლიტიკაში ვითარდება. პარლამენტში რეაქტიულად განვითარებული მოვლენები ძალიან მძაფრ ტურბულენტურ პროცესებში გადაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სერიოზულ კრიზისში ვართ. არის თუ არა ეს კრიზისი მართული, ნაბიჯები გათვლილი, ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, პირველი რაც თავში იმპულსურად ამომიტივტივდა მას შემდეგ რაც გარკვეული გადაჯგუფებები დავინახე, იყო მათეს სახარება, მერვე თავი, 22-ე პუნქტი, სადაც მაცხოვარი ბრძანებს: „შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფვლად თვისთა მკუდართა“. ანუ, რეალურად კარგად ვხედავთ, რომ არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე. მძაფრი პროცესების უკან ბუნებრივი გადაჯგუფებები, ისეთ ძალთა ერთობის დემონსტრირება იკვეთება, რომელთაც გარკვეული ღირებულებითი ერთობები გააჩნიათ და ეს საზოგადოებას ხვალ და ზეგ არჩევანის საშუალებას ძალიან გაუადვილებს. ჩვენთვის, პრობლემა იყო ის, რომ „ქართული ოცნება“ როგორც ეკლექტური გაერთიანება ერთმანეთში მოიცავდა როგორც კონსერვატულ, ასევე, სრულიად ლიბერალურ და შესაბამისად, ერთმანეთთან პოლარიზებულ დაჯგუფებებს, რაც ყოველთვის დიდ სირთულეებს ქმნიდა. ამომრჩეველი არჩევანის გაკეთებისას ყოველთვის კომპრომისზე მიდიოდა, რადგან სხვა მოცემულობას ვერ ხედავდა და თვლიდა, რომ ასეთი კოალიციის მხარდაჭერა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი იყო. რა თქმა უნდა, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.





14 ნოემბერს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო, რომელსაც აუცილებლად ექნება ძალიან რეზონანსული გაგრძელება. მინდა მჯეროდეს, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, პირველ რიგში, საზოგადოებას ეყოფა გამოცდილება, რაც სამწუხაროდ, არაერთგზის გადაგვხდა თავს და რაც ყოველთვის, რუსთაველზე და მთელი ქალაქის მასშტაბით ბათქა-ბუთქით სრულდებოდა, ეს ყველაფერი აღკვეთოს. ჩემი აზრით, რაც ყველაზე მთავარია „ქართულმა ოცნებამ“ ერთხელ და სამუდამოდ ჯერ მთავარი გარეშე სამოცელი გაიხადა, როდესაც კოალიცია დაიშალა, ხოლო შემდგომ, უშუალოდ პარტიამ გაიხადა ქურქი და ყველა იმ ლიბერალურწარმომადგენლობითი პოლუსის სუბიექტი მოიშორა, რომელიც თავისი ნეო-ლიბერალური ღირებულებებით, აბსოლუტურად, მიუღებელი იყო ქართული საზოგადოებისთვის. მე, ვხედავ, რომ გარკვეული ძალა რომელიც დღეს „ქართულ ოცნებაში“ დარჩა და რომელთა რიცხვში ჩემი ყოფილი თანამებრძოლებიცაა, გამოცდილნი არიან კაცობაშიც, ვაჟკაცობაშიც და ა.შ. ამ ადამიანებს ნამდვილად შეიძლება დაეყრდნო. „ქართულ ოცნებაში“ ასეთი კაცების არსებობა ძალიან მახარებს.

დღეს, ყველაფერი კარგად დავინახეთ. ყველას თავისი ადგილი მიეჩინა. ეს თამაში, რეალურად, ან ძალიან მაგარი გროსმაისტერის გათამაშებული პარტიაა ან აბსოლუტური ქაოსისა და მორევისკენ მიმართული უმართავი პროცესი. ორიდან ერთი. როცა ვხედავ ვინ დაჯგუფდნენ ერთად, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსა. აქედან გამომდინარე, მიყალიბდება აზრი: ეს გახლავთ მართული, გარკვეული საჭადრაკო პარტიის ეტიუდი, რომელსაც ძალიან სერიოზული გაგრძელება ექნება შემდგომი გათამაშებისა და ფიგურათა გადაჯგუფების ფარგლებში. გათამაშდება თუ არა სერიოზული გამბიტი, მოხდება თუ არა სისტემური ცვლილები, გადავალთ თუ არა ჭეშმარიტად ეროვნული რელსებისკენ მიმავალ გზაზე, მოხდება თუ არა ეროვნული ინტერესის დაცვის ინიცირება ქართულ რეალურ პოლიტიკაში, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ეროვნული ძალების გაერთიანება. ახლა, როცა წიწიბურა ბრინჯისგან გაიყო, როცა ყველამ თავისი ტოლი, სწორი, კოჭი ნახა, ახლა, როცა ალხანამ იცის ვინ არის მისი ჩალხანა, სწორდ ახლა არის საჭირო ქართული ეროვნული ძალების გააქტიურება. წეღანაც გითხარით: ლევან აკინის ფილმით შემთხვევით არ დამიწყია საუბარი — როცა ეროვნულ ძალებზე, ეროვნულ ინტერესებზეა ლაპარაკი, პირდაპირ გეტყვით: მომავალი საარჩევნო პოლიტიკური პროცესის წყალგამყოფი იქნება სოდომის მომხრებსა და იმ ნაწილის შორის, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ ნეოლიბერალური ინტერნაციონალიზმით განსაზღვრულ იდეოლოგიას, რომლის ავანგარდი არის სწორედ ზნეობრივი პლაზმის შეცვლა ეს იქნება ნარკოტიკიზაცია, სოდომიზაცია, სრული ზომბირება საზოგადოებისა, თუ ის სახიფათო საგანმანათლებლო პროექტები, რაც ყოველთვის ხორციელდებოდა ქვეყანაში. დღეს, გაჩნდა შანსი, ვიღაცამ ამ ყველაფერს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიოს და ერს შესთავაზოს ქვეყნის განვითარების ახალი დოქტრინა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სწორედ ეროვნული სახელმწიფოების გადაგვარების მიზნით გამოყოფილია მილიარდობით დოლარი. ამ ძალებისთვის ქვეყნის მომავალი, მისი განვითარება და სტაბილურობა კი არ არის პოლიტიკური ამოცანა, არამედ ამ მილიარდების ათვისება. მათ სურთ ქვეყნისთვის ძირმომთხრელი პოლიტიკის გატარება, რათა ქვეყანა ერისგან დაცლილ ტერიტორიად იქცეს, რომელზეც შემდგომში განხორციელებული იქნება იგივე პოლიტიკური თამაშები, რითაც ანგლოსაქსური გეოპოლიტიკა თავის სანუკვარ მიზანს მიუახლოვდება. ეს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლაა. მსოფლიო ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ეს ბრძოლები მეტ-ნაკლები გააფთრებულობითა და განსაკუთრებული სისხლისღვრითაც, ვგულისხმობ, I და II მსოფლიო ომებში დაღვრილ სისხლს, იჩენდა თავს. ახალი პლაცდარმის მომზადება სწორედ ახლა იწყება, რასაც ეროვნული ძალები უნდა დაუპირისპირდნენ.



**— ბატონო დიმა, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ოპოზიცია რუსულ ნარატივს მიაწერს. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ? ასეთი იმიტირებული პარტიების და ჩანასახოვანი თვითმმართველობის ფონზე, კიდევ პროპორციული არჩევნები საერთოდ წარმოუდგენელ სურათს ქმნის.**

— აბსოლუტურად, გეთანხმებით. ჩვენ, სამწუხაროდ, ვერშემდგარი სახელმწიფო ვართ. ეს უნდა ვაღიაროთ, ყველაფერი რისი გამოსწორებაც გვინდა, მისი აღიარებით იწყება. დღეს, გვიჭირს აღიარება, რომ სახელმწიფო ვერ შედგა. სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობის მოდელი როგორიც არ უნდა იყოს იქნება ეს სუპერსაპრეზიდენტო, ნახევრად საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა, რომლის ფორმაციაშიც ახლა ვიმყოფებით, გვიჩვენებს, რომ ერთ შემთხვევაშიც გამოვცადეთ ჩვენი თავი და ახლა, მეორე შემთხვევაშიც, კიდევ უფრო დაბნეული ცერცვივით ვიქცევით. რისი ბრალია ეს, თუ არა სწორედ იმ პოლიტიკური თავსმოხვეული, მყრალი, ჩამპალი სისტემისა, რომელიც დღიდან შევარდნაძის მმართველობისა და გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისა, რასაც არავითარი შეფასება არ მისცემია — არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი, ჩამოყალიბდა. ჩვენ, „მოქალაქეთა კავშირის“, „ნაცმოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ შემთხვევაშიც, 14 ნოემბრამდე სწორედ ამ მოჯადოებულ წრეში ვიყავით, როგორც ციყვი დოლურაში. არაფერი არ იცვლებოდა. ანალიზი რომ გავაკეთოთ,

6 გვ.

# ...ბრძოლა კრიზისის და დესტაბილიზაციის შესაქმნელად

← 4 გვ.

ვან, რომ კიდევ უფრო გამძაფრდეს დაპირისპირება, შეიარაღებულ კონფლიქტამდეც კი. ამდენად, ყველაზე სწორია ის გზა, რაც ანალოგიურ სიტუაციაში სააკაშვილმა აირჩია — არ შევიდა პარლამენტში და მაშინდელი კარვების ქალაქი ლოდინით გამოფიტა. ამ გზას აირჩევენ თუ არა მეოცნებეები, ძნელი სათქმელია. ისინი ხშირად დგამენ გაუგებარ ნაბიჯს. ასევე, გაუგებარია რას აკეთებენ ის მცირე პარტიები, რომლებიც ახლა „ნაციონალებს“ მიეწებნენ ივანიშვილის გადაგდების სურვილით. სააკაშვილის გადაგდების სურვილი რომ ჰქონდათ და არ შეეძლოთ, ეს დაივიწყეს და იღწვიან „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსაყვანად. ყველაზე ლოგიკურია „ნაციონალების“ მოქმედება, ისინი ყველა შანსს იყენებენ ივანიშვილის ხელისუფლების კრიზისში შესაყვანად.

**— აქციაზე გრიგოლ ვაშაძემ ხალხს ჰკითხა: ხომ გინდათ პოლიტ.პატიმრების გათავისუფლებაო და აქტივისტებმაც იხუვლეს: კიო. „ნაცებს“ პოლიტ.პატიმრებად მიაჩნიათ ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ნუთუ ხალხს მართლა სურს „ორი გვამის“ ავტორის გათავისუფლება?**

— სიტყვა „ხალხს“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. აქციაზე თავმოყრილ ადამიანებსაც ხალხს ვუწოდებთ და მთელ ერსაც. აქციაზე მყოფი ხალხი ერი არაა, მათი დაძახილი ერის ხმა არ არის. ერის ხმა ვლინდება არჩევნებზე, მაგისთვისაა არჩევნები მოგონილი. ხალხის მცირე რაოდენობით ხელისუფლების შეცვლა არის გადატრიალება. 1917-ში მომხდარ გადატრიალებას რუსებმა რევოლუცია უწოდეს. ეროვნული არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა არის დემოკრატია. „ნაციონალებმა“, 2012 წლის შემდეგ, სწორედ იმიტომ ვერ გაიმარჯვეს ვერცერთ არჩევნებზე, რომ ერს არ უნდა „ორი გვამის“ მსურველი ადამიანი და მისი მეგობრები ხელისუფლებაში იხილოს. ერის ამ ნების დანახვა „ნაციონალებს“ არ სურთ და მუდამ ცდილობენ გადატრიალების, ანუ რევოლუციის სცენარით წაიყვანონ პროცესები.

**— იგივე, ვაშაძემ განაცხადა დროებითი მთავრობა შეიქმნება და ამ კრიმინალებს ხელისუფლებას ჩამოვართმევთო. არადა, ქართველი ხალხი სწორედ მათ ეძახის კრიმინალებს და არა „ქართულ ოცნებას“.**

— ენა უძვლო კი არის, მაგრამ “მეოცნებეები” ღირსნი არიან, რომ „ნაციონალებმა“ მათ კრიმინალები უძახონ. „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად ეცადა არ აღედგინა „ნაციონალების“ დარღვეული სამართლიანობა, „ნიურბერგიის პროცესი“ არ მოაწყო და „ნაციონალებს“ მოღონიერების საშუალება მისცა. ახლა უსმინოს იმ ეპითეტებს, რითაც ისინი ამკობენ.

**— ბატონო რამაზ, „ნაციონალებმა“ გაშლილ კარვებს ვარდები მიამაგრეს. ძველი სცენარის გამეორება ხომ არ იგეგმება?**

— დიახ, ვარდები მიამაგრეს და 23 ნოემბერს დიდ აღზევებას ელოდებიან. ვარდთან და 23 ნოემბერთან „ნაცმოძრაობა“ ასოცირდება, ხომ. ასე რომ ფაქტობრივად, მოვლენები „ნაცმოძრაობის“ სცენარით ვითარდება. მე, დანარჩენი პარტიების დარდი უფრო მაქვს იმიტომ, რომ ისინი სრულიად დაკარგავენ იმ ხმებსაც, რაც აქვთ. იქ მდგომ რამდენიმე პარტიას მომგებიანი ნეიტრალური პოზიციის დაკავების შანსი ჰქონდა, მაგრამ მათ „ნაცების“ პოლუსი დაიკავეს. არადა, ეს პოლუსები — „ნაცებიც“ და „ქოცებიც“ საზოგადოებისთვის ორივე მიუღებელია. მათ მესამე ხაზი უნდა ჩამოეყალიბებინა თ. ამას ელისაშვილი მიხვდა, რომელიც მაშინ, როცა მერის კანდიდატად იყრიდა კენჭს, პოლიტიკაში გამოუცდელი იყო. იგი მიხვდა, რომ პარტიებთან შეკვრა წამგებიანია, ცალკე გავიდა და მეორე ადგილიც დაიკავა. როცა პარტია იმას ვერ ხვდება მისთვის რა არის მომგებიანი, ის იმაზე მოახერხებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას ჩემთვის ან ქვეყნისთვის რა არის მომგებიანი?! ამიტომ არის საზოგადოება გულაცრუებული.

**— რით ახსნით „ქართულ ოცნებაში“ პოზიციების გახლეჩვას. რამდენად მომგებიანია ეს ვითარება „ქართული ოცნებისთვის“ და ზოგადად ქვეყნისთვის?**

— არსებობს „ქართული ოცნება“ და ნაოცნებარი პარტია ბესელიას სახით. აქვე, შეიძლება მორიგი ნაოცნებარების პარტია შეიქმნას. ეს შეიძლება ახალი პოლიტიკური ჯგუფების ფორმირების საინტერესო პროცესად იქცეს. თქვენ მკითხეთ, ეს პროცესი რამ გამოიწვიაო. არსებობს ტერმინი ფრთხილი. „ქართული ოცნება“, თითქოს, ფრთხილი პარტიაა, ხასიათი აქვს ფრთხილი, მაგრამ გარდა ამისა, არის მფრთხალიც. ივნისის დღეებში იგი დაფრთხა და დათმობაზე წავიდა. მერე, ცოტა მოღონიერდა. ახლა, „ქართული ოცნების“ მთავარი ბირთვი უკვე მაჟორიტარებმა დააფრთხეს. „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს სიტუაციის გამწვავება, რათა ამომრჩევლის ის რაოდენობა, რომელიც მაჟორიტარების გავლენის ქვეშ არის, არ დაკარგოს.

**— რა ნაბიჯს ელოდებით ივანიშვილისგან?**

— ივანიშვილმა ერთი მოულოდნელობა რაც გააკეთა იყო ნულოვანი ბარიერი, რამაც ძალიან კარგად იმუშავა იმაზე, რომ ქუჩიდან პოლიტიკამ მაგიდასთან გადაინაცვლა. ახლა, ის მოგება უკან დააბრუნა — პოლიტიკა ისევ ქუჩაში დაბრუნდა. არ ვიცი რას მოიფიქრებს, საკმაოდ არაორდინალური აზროვნება აქვს, მაგრამ იმის მოლოდინი, რომ თუკი სიტუაცია გართულდება, მას საპასუხო სვლა ექნება, სულ მაქვს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24






# 2019 წლის 14 ნოემბერი, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერი – „ნაცმოძრაობის“ დამარცხების დღე!

← 5 გვ.

დღევანდელი ვითარება ერთი ერთში ჯდება 1993–94 წლებისა და 2003 წლის ნოემბრის პროცესებთან. იგივე, მეორდება. ცვლილება თუ გვინდა, ეს სისტემიდან უნდა დავიწყოთ. როდესაც ჩვენ, ვხედავთ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის სამსჯავრო სკამზე დასასმელი პირები, დღეს, ამ ერთობაში ლიდერებად გვევლინებიან, რა თქმა უნდა, ეს გულისამრევი სურათია, რაზეც საზოგადოება თავის პოზიციას სოციალურ ქსელებში აფიქსირებს, სადაც არაფერი არ იმალება.

**— ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ პროპორციულ არჩევნებს ითხოვს, ეს რამდენად მიღწევადია?**

— საქმე იმაშია, რომ ჩემი აზრით, პროპორციული არჩევნების ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს. ეს არის ერთადერთი სწორი და პროგრესული ნაბიჯი, რაც თავად „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლატფორმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ამაზე ყველანი ვთანხმდებით. თავად, ბიძინა ივანიშვილიც ღიად აცხადებს, რომ იგი პროპორციულ საარჩევნო სისტემას უჭერს მხარს. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ჩაგდება რამაც განაპირობა, ამაზე ზემოთ ვისაუბრე. საზოგადოებამ დაინახა იმ ძალების სახე, რომელთაც ერთიანი ღირებულებითი სისტემა აქვთ. რა მხარდაჭერა ექნებათ, როგორი კონფიგურაციის შემთხვევაში, რა ნდობის რეიტინგებს გამოიმუშავებენ, ეს მათი საქმეა. ასეთი ტექტონიკური ძვრების დაწყება პოლიტიკაში დროული იყო, უცებ, ყველას თავისი ადგილი მიეჩინა. მე, კონკრეტულ პირებს შეგნებულად არ ვახსენებ. ყველა კარგად ხვდება ვინ, სად, როდის, როგორ, რა მიზეზით გადალაგდ-გადმოლაგდა. ცოტა ხანში ყველაფერი ნათელი გახდება. ვიმეორებ: ახლა, განგაშის ზარების დარისხების დროა სწორედ იმ მიმართულებით, რომ ეროვნულ ძალთა ერთობა შედგეს.

მაგალითისთვის, მე მხარს დავუჭერდი რეგიონალურ პროპორციულ საარჩევნო სისტემას, რაც არის მასშტაბური მაჟორიტარული პრინციპი პროპორციულ სისტემაში. ამ შემთხვევაში, თითოეული ასარჩევი პირი სწორედ რეგიონის სახე, თვალი, ყური, სინდისი იქნება. რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატებს, მათ არჩევას, თეორიულად, ალტერნატივა არც უნდა ჰქონდეს. მაგრამ დღევანდელ სოციალურად გაჭირვებულ ვითარებაში, ეს არის ცდუნება იმისა, რომ ხმები, უბრალოდ, გაიყიდოს. სამწუხაროდ, მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაში ძალიან დიდი ფულის ტომარას უპირისპირდება ათობით ინტელექტუალი ადამიანი. მათ გამარჯვების ასჯერ ნაკლები შანსი აქვთ მაშინ, როცა არჩევნებს ფული იგებს. კი ბატონო, მაჟორიტარულ სისტემას მხარს დავუჭერდი, მაგრამ ერთი სტატისტიკა გამოაქვეყნოს მინმემ, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო ამომრჩევლის მოსყიდვის საქმეზე?! როგორ ფიქრობთ, აქამდე ჩატარებულ არჩევნებში ერთი ადამიანის მოსყიდვის ფაქტიც არ იქნა გამოვლენილი?! ეს ხომ ჩვენს თვალწინ ხდება. ეს არის ამაზე პასუხი — როცა არ არსებობს პოლიტიკური ნება, რა თქმა უნდა, არ გიჩნდება სურვილი ფულის ტომრებთან მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ამიტომ არის, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიმართ ბიძინა ივანიშვილსაც კი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. ვიმეორებ, ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები ჩააგდო, არამედ მე, ამაში უფრო დიდ პოზიტივს ვხედავ — მოხდა გარკვეული ძალებისა და სუბიექტების ლუსტრირება.

ჩვენი ქვეყნის ტრაგედია და უბედურება სწორედ ისაა, რომ გოგორიშვილები, მაჭავარიანები, ბარამიძეები არიან დასავლური პოლიტიკური აგენტურული ქსელის სახეები, რომლებიც ლამისაა მეხუთე მოწვევის მარადმწვანე პარლამენტის წევრებად გვევლინებიან. მათი ამოცანა ის კი არ არის, რომ ქვეყანა წინ წამოსწიონ, არამედ კონსერვაცია მოახდინონ და არსებული მახინჯი პოლიტიკური სისტემა რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ. ამიტომ, ისეთი ძალების წინ წამოწევაზე უნდა ვიფიქროთ, რომლებიც მომავალ საქართველოს ახალი ხედვით გაუძღვებიან და ქვეყანაც წინ წაიწევს.

„ნაცებმა“ რაც 20 ივნისს ვერ გააკეთეს, ფიქრობენ, რომ ამისთვის, ახლა, უფრო ნოყიერი ნიადაგია. ძალიან ღრმად ცდებიან. საზოგადოების წინაშე ყველა გადაიხდის პოლიტიკურ ფასს. სახეზეა, ხელოვნური მცდელობა ქვეყანაში არეულობის შემოტანისა და თბილისურ-უკრაინული მაიდნური ინსინუაციების განხორციელებისა. ეს არ მოხდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დიდი ლუსტრაცია

## მოღალატეების, ფარისევლების და უკანალების შესახებ

2019 წლის 14 ნოემბერი, ხუთშაბათი. ეს დღე, როგორც ნიკა მაჭუტაძე და გაერთიანებული ოპოზიციის სხვა ლიდერები იტყობინებოდნენ, უნდა ყოფილიყო ისტორიული, რადგან მთელი ქვეყანა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას გეგმავდა. მართალია, მთელი ქვეყნის ხუთმა პროცენტმა თუ იცის, რა განსხვავებაა პროპორციულსა და არაპროპორციულს შორის, მაგრამ რაკი ბატონმა მაჭუტაძემ ასე განაცხადა, სწორედაც რომ ასე უნდა ყოფილიყო. თუმცა, მოხდა საოცრება, ვინაიდან და რადგანაც, ვირი მოუკვდა მაგდანას და ამის გამო საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩააგდო, ბუნებრივია, ვერც 14 ნოემბერი იქცა ისტორიულ დღედ.









მოკლედ, სანამ პროპორციულ საარჩევნო სისტემას დეპუტატები კენჭს უყრიდნენ, სამჯერ გაიარეს რეგისტრაცია. ინიციატივას მხარი დაუჭირა 101-მა დეპუტატმა, 3 იყო წინააღმდეგი, ხოლო 37-მა შეიკავა თავი. ვინაიდან საჭირო იყო 113 ხმა, პროექტი ჩავარდა. რა მოხდა, ფაქტობრივად რატომ აღმოჩნდა 40 მოწინააღმდეგე, როცა წინა ორი დღის განმავლობაში „ქართული ოცნების" მესვეურები აცხადებდნენ, რომ სავარაუდოდ ხმის მიცემას არ აპირებდა 25 დეპუტატი, ხოლო ბიძინა ივანიშვილთან ღამის შეხვედრების შემდეგ, თითქოს 15-მდე შემცირდა. ყოველ შემთხვევაში, ყველას გვეგონა, რომ ცვლილებები მაინც უპრობლემოდ გაივლოდა.









ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილებებს სრული შემადგენლობით დაუჭირეს მხარი „ევროპულმა საქართველომ", „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ", „პატრიოტთა ალიანსმა" და უფრაქციო დეპუტატებმა. წინააღმდეგ მისცა ხმა სამმა: ენზელ მკოიანმა, კახა ოქრიაშვილმა, დიმიტრი ხუნდაძემ. თავი შეიკავეს და დიდი ცოდვა წამოიკიდეს: ირაკლი აბუსერიძემ, ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, ანზორ ბოლქვაძემ, გოგა გულორდავამ, გოჩა ენუქიძემ, მუხრან ვახტანგაძემ, ცოტნე ზურაბიანმა, ედიშერ თოლორაიამ, შალვა კიკნაველიძემ, კობა კობალაძემ, კარლო კოპალიანმა, გიორგი კოპაძემ, კობა ლურსმანაშვილმა, იოსებ მაკრახიძემ,

სამველ მანუკიანმა, გურამ მაჭარაშვილმა, სულხან მახათაძემ, ირაკლი მეზურნიშვილმა, გოგი მეშველიანმა, სავალან მირზოევმა, რომან მუჩიაშვილმა, დიმიტრი მხეიძემ, პაატა მხეიძემ, თამაზ ნავერიანმა, რუსლან პოღოსიანმა,

დავით სონღულაშვილმა, მერაბ ქვარაიამ, მიხეილ ყაველაშვილმა, ირაკლი შიოლაშვილმა, გოდერძი ჩანქსელიანმა, ოთარ ჩრდილელმა, ნინო წილოსანმა,

შოთა ხაბარელმა, ლერი ხაბელოვმა, ირაკლი ხახუბიამ, თენგიზ ხუბულურმა, ვიქტორ ჯაფარიძემ.

რამ გამოიწვია ეს სამწუხარო ამბავი? სანდო ვერსია მაქვს: „ქართულ ოცნებაში" უკვე დევს 2020 წლის საპარლამენტო სია, სწორედ ამ სიის შესახებ გაიგეს დეპუტატებმა, ანუ იქ ვერ ამოიკითხეს საკუთარი გვარები და ამიტომაც მოუწყეს პარტიის ლიდერს პროვოკაცია. ამათგან ზოგი პარლამენტში ბერდება, ზოგიც მეორე „კრუგს" ასრულებს, მაგრამ ისევ უნდათ კაი ცხოვრება, გაუტკბათ. ზოგნი აცხადებენ, ივანიშვილმა თავისსავე გუნდში ავტორიტეტი დაკარგაო, თუ არ ემორჩილებიან, მთლად უარესიო. სხვათა შორის, ასეთი რაღაცების რეგვენი წამომძახებლები საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან – მათ ხომ არასოდეს მოსწონდათ ერთპიროვნული მმართველი ბიძინა ივანიშვილი? ჰოდა, როგორც ჩანს, ივანიშვილსაც მობეზრდა ერთპიროვნული მმართველობა და თავისი გუნდის წევრებს უთხრა, თავში ქვა გიხლიათ, წადით პარლამენტში და როგორც გინდათ, ისე მოიქეცითო. ესე იგი, ე.წ. ოპოზიციას თან უნდა, რომ ბიძინა ერთპიროვნული მმართველი არ იყოს, თან ეუბნებიან, რატომ არ ხარ, ყველა ერთ ხმაზე რატომ არ ამღერეო? აი, სწორედ ამან გააბრაზა ვიცე-სპიკერ თამარ ჩუგოშვილის „სასტავი" და მოულოდნელად განაცხადეს, უმრავლესობიდან მივდივართო. ესენი არიან: ირინა ფრუიძე, გიორგი მოსიძე, დიმიტრი ცქიტიშვილი, თამარ ხულორდავა, სოფიო ქაცარავა, მარიამ ჯაში, ზაზა ხუციშვილი და გიორგი ბეგაძე. თქვენი არ ვიცი და... მე ძალიან დამწყვიტა გული (ვხუმრობ) მარიამ ჯაშის წასვლამ, რომელიც სანდრა რულოვსის გაზრდილ-დაფრთიანებული გახლავთ. რაც შეეხება დანარჩენებს (არ ვხუმრობ), უნდა ვაღიარო, სულ მეგონა, რომ ცალი ფეხი „ნაციონალებში" ედგათ, მაგრამ აი, გიორგი ბეგაძე ვინაა, მაინც ვერ გავიგე, თურმე რუსთავის დეპუტატი ყოფილა და 2016 წლიდან მოყოლებული პარლამენტში მჯდარა. ე, ბიჭო, რუსთავის ნდობით აღჭურვილი პირი რომ ერთხელ არ ამოიღებ ხმას და მე შენს გვარს 3 წლის შემდეგ გავიგებ, ისიც წასვლისას, სირცხვილი და თავის მოჭრა არ არი?!

სხვათა შორის, მინდა, აქ ლირიულად გადავუხვიო: 15 ნოემბერს, ანუ მას შემდეგ, რაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მისი საქციელი დაგმო, „ლეიბორისტების" ოფისში რეიზა მიხვედი და „ნაცების" გვერდით რეიზა წამოსკუპდიო, გამოაქვეყნა თავის მართლების წერილი. შემოგთავაზებთ მხოლოდ ერთ ფრაგმენტს, რადგან მთლიანობაში გახლავთ ბლა-ბლა-ბლა. ესე იგი, ბესელია თავის საქციელს ასე ამართლებს:

„საკუთარი ამომრჩეველი, მომხრე, თანამებრძოლი მოატყუა, გააბითურა, დაცინა მმართველმა პარტიამ და მისმა ლიდერმა! ჯერ წარსული ძალადობრივი რეჟიმის შემოქმედებს, ჯალათ მოსამართლეებს გაუხსნა გზა და უვადოდ აღაზევა, ახლა მთავარი დანაპირები უკან წაიღო"!

ჰოდაო, თქვა ეკამ, ბიძინა ივანიშვილმა ჯალათებს რომ გაუხსნა გზა, მე იმ ჯალათების გვერდით დავდექი, რათა სამართლიანობა აღვადგინოო. ამასთანავე, ბიძინას საყვედურობს, შენი გუნდის წევრები რეიზა არ გადმოიბირეო? კი, მაგრამ თვით ეკა რატომ ვერ გადაიბირა ივანიშვილმა, რატომ ვერ დაითანხმა მოსამართლეების საკითხზე, ხომ შეიძლება, იმ 40 დეპუტატშიც გაიღვიძა დაუმორჩილებლობის ურჩხულმა? მით უმეტეს, უკვე გითხარით, მათ უფრო აქვთ ჯანყის მიზეზი (სიაში აღარ არიან), ვიდრე ბესელიას ჰქონდა. აბა, დაუკვირდით, ქალბატონი ეკა, რომელმაც გრიგოლ ვაშაძესთან, გიგი უგულავასთან, ბაჩუკი ქართავასთან, კოტე კემულარიასთან და ნავთით გაჟღენთილ სხვა მუმიებთან ერთად სურათი იმავე სტილში გადაიღო, როგორც 2007-ში, მაგალითად, გია მაისაშვილთან, გოგა ხაინდრავასთან, რამაზ იოსელიანთან, სანდრო ბრეგაძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან და სხვებთან (იხილეთ ორი ფოტო სხვადასხვა ეპოქიდან), თავის ყოფილ კოლეგებს ადანაშაულებს იმაში, რაც თვითონ არ გააკეთა და ამავე დროს ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებს დიქტატორობაში მაშინ, როცა თვითონვე არ/ვერ გახდა ამ „დიქტატორის" მსხვერპლი. აი, ეს გახლავთ ორმაგი სტანდარტი, ანუ... ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

ეს ამბები ხეირიანად არც კი იყო „გაციებული", ახლა ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორები„ გავიდა უმრავლესობიდან. მართალია, ჩვენი მოსახლეობის 99-მა პროცენტმა არ იცის, „კონსერვატორები" ნამცხვარია თუ პილპილმოყრილი ხაშლამის სახეობა, მარტივად გეტყვით: აგი იგია, ზვიად ძიძიგური რომ მეთაურობს, ხოლო ზვიად ძიძიგური იგია, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე სამტრედიაში რკინიგზა რომ გადაკეტა და რუსეთს ბოიკოტი გამოუცხადა. შეიძლება არ დაიჯეროთ, ძიძიგურის დღევანდელი საქციელი ძალიან ჰგავს მაშინდელს — ბოიკოტი გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილს და ამ დროს თვითონვე ზარალობს, ვეღარც პარლამენტში მოხვდება, ვეღარც დაფინანსებას მიიღებს, ვეღარც პოლიტიკოსად ივარგებს... ისღა დარჩენია, „ნაცშპანებთან" დაჯდეს და მერე მათთან სურათი გადაიღოს. ადამიანი (ადამიანები), რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში გარბის, იმას ჰგავს, ჩაძირვისას გემიდან რომ გარბიან ხოლმე, სხვა შედარებას ვერ ვპოულობ. მოკლედ, 15 ნოემბერს გამოცხადდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს გიგა ბუკიამ, მუხრან ვახტანგაძემ, რულსან გაჯიევმა, ნინო გოგუაძემ, პაატა კვიჟინაძემ და თვით ზვიად ძიძიგურმა. 16-ში პაატა კვიჟინაძემ თქვა, რომ ის რჩება უმრავლესობაში. ერთი ცოდვაც უნდა გაგიმხილოთ: ამათგან გიგა ბუკია გამიგია, ძიძიგური — თავისთავად, დანარჩენები დეპუტატები თუ იყვნენ, არც ვიცოდი.

აი, მინდა, დავამთავრო ეს წერილი და თან ვგრძნობ, რაღაც კიდევ მრჩება სათქმელი... ჰო, ერთი ის, რომ ვინც უმრავლესობიდან, ანუ „ქართული ოცნებიდან" გარბის და საპარლამენტო მანდატს ინარჩუნებს, ის არის (უკაცრავად) ტრაკი! თუ შენ მოსახლეობამ ხმა მოგცა, როგორც ამა და ამ პარტიის, გუნდის თუ გაერთიანების წევრს და ახლა აღარ გინდა იქ ყოფნა, თუ ნამუსი გაქვს, მანდატიც უნდა დააგდო და წახვიდე სახლში. აი, ჩემი აზრი დავწერე თუ არა, სოფიო ქაცარავამ განაცხადა, დეპუტატის მანდატს ვტოვებთო... ესე იგი, ის უკვე გადაურჩა ჩემს, არცთუ სახარბიელო „იარლიყს".

ამბობენ, „ქართული ოცნებიდან" წასვლას „მავნეები" კიდევ აპირებენო... როგორც ჩანს, ვინც არ იქნება მომავალ საპარლამენტო სიაში, ყველა გაუდგება კუდიგორის გზას. წავიდნენ, აი დარდი, პარტია და უმრავლესობა ისედაც გასაწმენდი იყო ჯერ ფერნაცვალი „ნაციონალებისგან", შემდეგ კი ყოფილი პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის მიერ შეყრილი ქამელეონებისგან. ვნახოთ, ბევრი ლოდინი არ დაგვჭირდება იმის გასარკვევად, ვინ ვისთან დაჯდება, ვინ ვის გვერდით დასკუპდება და ვინ ვისთან გადაიღებს „ისტორიულ" სურათს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# თვითონ ოპოზიცია იტყუება, როცა ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობა მოატყუა

*რა განსხვავებაა პროპორციულ (რაზეც ასერიგად იგიჟებს თავს ე.წ. ოპოზიცია) საარჩევნო სისტემასა და შერეულ, ანუ მაჟორიტარულ სისტემას შორის? თუკი საქართველოს პარლამენტი მიიღებდა პირველს და გააუქმებდა მეორეს, ამით რა ხეირს ნახავდა ქვეყანა და მისი მოსახლეობა? ამ თემაზე „საერთო გაზეთს“ ანალიტიკოსი ლადო ბოჟაძე ესაუბრება.*

●

**— ბატონო ლადო, თუ შეიძლება, აგვიხსენით, რატომ ითვლება უფრო დემოკრატიულად საარჩევნო სისტემა, ვგულისხმობ პროპორციულს, როცა რეგიონებს აღარ ეყოლებათ წარმომადგენლები პარლამენტში და როცა შესაძლებელია, რამდენიმე კაცის ხათრით უვიცთა ჯოგი მოხვდეს იგივე პარლამენტში?**

— სანამ კონკრეტულად ამ საკითხზე გადავალთ, მოდით, გავიხსენოთ, რა ხდებოდა, სანამ აქამდე მივიდოდით. საერთოდ, საარჩევნო



სისტემა მაჟორიტარული იქნება, შერეული თუ პროპორციული, არც ერთი არ არის ცუდი, თუ ნორმალურად მიესადაგება ქვეყნის ინტერესებს. თუმცა არც იმას ვამბობ, რომ სადმე იდეალური სისტემა არსებობს. შერეული სისტემა, რაც ახლა ჩვენ გვაქვს, ევროპის ბევრ ქვეყანაში გამოიყენება, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემაა. ჩვენში შერეულმა სისტემამ თავიდანვე მახინჯი სახე მიიღო — წესად იქცა, მაჟორიტარები ყოველთვის არიან პროსახელისუფლებო და ეს ყველა ხელისუფლებისთვის იქცა ერთგვარ უპირატესობად. სხვათა შორის, ჩვენ პროპორციულზე კარგახნით ადრე უნდა გადავსულიყავით, მაგრამ არც ერთმა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა. ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა „ქართული ოცნება“, როცა ჯერ კიდევ 2017 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ 2024 წელს ყველაფერი შეიცვლებოდა. აქ მოხდა შეთანხმება მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის, ასევე თანხმობა განაცხადეს მაჟორიტარებმა. მაშინ ითქვა, მაჟორიტარებს კიდევ ერთხელ მოგეცემათ საშუალება, კენჭი იყაროთო.

**— ანუ ის 40 მაჟორიტარი, რომელმაც ფაქტობრივად ჩააგდო საკონსტიტუციო ცვლილებები, თანახმა იყო, ოღონდ 2024 წლისთვის, ხომ?**

— დიახ, ისინი სწორედ ამიტომაც გამოვიდნენ და გააპროტესტეს, ამიტომაც ჩააგდეს, მათ იფიქრეს, რომ დაირღვა 2017 წლის შეთნხმება. ჩვენ ახლა კონსტიტუციაში გვიწერია პროპორციული სისტემა, მაგრამ გარდამავალ პერიოდში, ანუ 2020 წლისთვის არჩევნებს ვატარებთ შერეული სისტემით. სხვათა შორის, 2024 წლისთვის ოპოზიციისთვის გათვალისწინებული იქნებოდა შეღავათი — 5%-იანი ბარიერი დაიწევდა 3%-მდე. ამავე დროს, დასაშვები იქნებოდა ბლოკების სისტემის შენარჩუნება ერთჯერადად. თუ მანამდე არაფერი შეიცვალა, რა თქმა უნდა, მოგვიწევს არჩევნების ჩატარება ამ შეთანხმების საფუძველზე. პრინციპში, შესაძლებელი იყო, 2020-შიც ასევე ჩაგვეტარებინა, მაგრამ მოვლენები განვითარდა ასე: როცა ეს პროცესი 20 ივნისის მოვლენებმა დააჩქარა, მაჟორიტარები ამას „გაგებით“ შეხვდნენ, რადგან ელოდებოდნენ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა, რაღაც სხვა შეთავაზებები ჰქონოდათ. მაჟორიტართა ამ ნაწილმა ძალიან დიდი ზიანი მიაყენა „ქართულ ოცნებას“ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამწუხაროა, რომ „ქართულ ოცნებას„ არ აღმოაჩნდა რესურსი, ეს პროცესები ბოლომდე მიეყვანა.

**— რას გულისხმობთ შეთავაზებაში, მაჟორიტარები ელოდებოდნენ, რომ დათმობის სანაცვლოდ მოხვდებოდნენ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო, ანუ პროპორციულ სიაში?**

— რა თქმა უნდა, ისინი ელოდნენ შეთავაზებას მათ პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით. თუ ყველას არ აქვს საკუთარი თვალით ნანახი „ქართული ოცნების“ სავარაუდო სია, ისედაც იციან, რომ ყველა მაჟორიტარი ამ სიაში ვერ აღმოჩნდება, თან გამსვლელ სიაში. როგორც ჩანს, ეს ადამიანები სხვა სახის გარანტიებს ითხოვდნენ, ვაჭრობდნენ და როცა დადგა კრიტიკული მომენტი, როცა საკუთარი ხელითვე უსპობდნენ მომავალს, მიიღეს ის გადაწყვეტილება, რაც მიიღეს. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან მძიმე და რთული პერიოდი „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან თავის მართლება, რადგან ივნისის მოვლენების შემდეგ ძალიან მაღალ დონეზე დაიდო პირობა, რომ პროპორციული სისტემა იქნებოდა მიღებული. ახლა ეს პროცესი უკან ვერ დაბრუნდება და კენჭისყრაზე ისევ ვერ გავა, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებების ნებისმიერმა ახალმა პროექტმა იგივე პროცედურები უნდა გაიაროს, რაც გაწერილია და ამას ისევ თვეები დასჭირდება, თუმცა, არსებობს საარჩევნო სისტემები, რომლებიც კონსტიტუციური შეთანხმების გარეშე შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს თავად ოპოზიციისთვის, რომელიც ახლა ქუჩაში დაბრუნდა. უნდა დავიტოვოთ, რომ პოლიტიკური პროცესი ქუჩაში ისე არ გამწვავდება, ამან კიდევ უფრო დიდ ღირებულებებს, სახელმწიფოს სტაბილურობას და განვითარებას შეუქმნას საფრთხე. „ქართულ ოცნებას“ თავიდანვე რომ ეთქვა, გუნდში ამ საკითხზე უთანხმოებაა, შეიძლება ამას გარკვეული პრობლემები მოჰყვესო, გასაგები იქნებოდა ჩვენი უცხოელი პარტნიორებისთვის, მაგრამ ახლა უკვე საჭირო გახდა ახსნა-განმარტებების კეთება.

**— რატომ ლამობს ოპოზიცია, მოიპოვოს პროპორციული საარჩევნო სისტემა და რისი ეშინია, დავუშვათ, ხელისუფლებას? სანამ მიპასუხებდეთ, აქვე გამოვთქვამ ჩემ აზრს: შვიდი წლის განმავლობაში „ქართულ ოცნებას“**



**ვედავებით, რომ ქვეყანაში „ნაციონალები“ გააპარპაშა და არც კოჰაბიტაციას ვუწონებთ, ხომ შეიძლება დადგეს ჟამი, როცა იგივე „ქართულ ოცნებას“ მოუწევს „ნაცებთან“ კოალიციური მთავრობის შექმნა? აი, აქ კი მართლა გაგიჟდება სრულიად საქართველო და მერე რა მოხდება, ამის წარმოდგენასაც კი არავის ვუსურვებ.**

— რასაკვირველია, ეგ რისკი არსებობს, მაგრამ ჩემი აზრით, არცთუ საშიში იქნებოდა პროპორციული სისტემა „ქართული ოცნებისთვის“. თითოკაციანი პარტიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორმე შესულიყვნენ პარლამენტში და თუ შევიდოდნენ, არც იქ მოხდებოდა რაიმე განსაკუთრებული. თუკი კოალიცია ვერ შედგებოდა და მთავრობა ვერ დაკომპლექტდებოდა, მაშინ ხომ ისინი ავტომატურად კარგავდნენ მონაპოვარს? ამის შემდეგ კი მათ ელოდებოდათ მომდევნო, ანუ რიგგარეშე არჩევნები 5%-იანი ბარიერით. ვინაიდან ნულოვანი ბარიერი გახლდათ ერთჯერადი აქტი, ისინი აღარ წავიდოდნენ გამწვავებაზე.

**— წეღან ახსენეთ ჩვენი უცხოელი პარტნიორები, რომელთათვისაც დიდად ღირებულია დემოკრატია... თუკი ბიძინა ივანიშვილმა ვერ დაარწმუნა თანაგუნდელების ნაწილი, რომ ხმა მიეცათ პროპორციული სისტემისთვის, ეს მათთვის არ ნიშნავს ასევე დემოკრატიას?**

— აქ უკვე საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან, ჩვენც და ისინიც ყველას ვთხოვთ შიდა დემოკრატიას, მაგრამ მეორე მხრივ ვითხოვთ სხვას. რა თქმა უნდა, თუ დემოკრატიის თვალსაზრისით შევხედავთ, გამოდის, „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად ჰქონია შიდა დემოკრატია, ბიძინა ივანიშვილმა ყველა ვერ დააყენა ერთ ჭკუაზე. თუმცა ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ამ დეპუტატებს ვეძახით ივანიშვილის მონებს. „ქართული ოცნების“ შეცდომა სწორედ ეს არის, რომ ეს არგუმენტი, ანუ ინფორმაცია წინააღმდეგობის თაობაზე, დროულად არ გამოიტანა სააშკარაოზე. კი არ უნდა გამოეცხადებინათ, რომ ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთო, უნდა ეთქვათ, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ, ვეცდებითო. ამით დაიტოვებდნენ უკან დასახევ გზას. კიდევ უფრო უცნაურია, ის ხალხი, ვინც მხარი დაუჭირა ცვლილებებს და იყვნენ პარლამენტში საგარეო მიმართულების ხელმძღვანელები, ისინი წავიდნენ „ქართული ოცნებიდან“ და დარჩნენ მეამბოხეები. შეკითხვები ჩვენს გარე პარტნიორებს, რასაკვირველია, ექნებათ, მაგრამ ეს არის პარლამენტის გადაწყვეტილება, რაც არის უზენაესი და უნდა გავითვალისწინოთ, რომ მატარებელმა უკვე ჩაიარა. ერთადერთი გამოსავალი არის ე.წ. გერმანული მოდელი, სადაც შეიძლება მაჟორიტარებმა ისევ დაინახონ თავიანთი პოლიტიკური მომავალი.





**— მართალია, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი აცხადებს, გერმანული მოდელი არ შეესაბამება იმ კონსტიტუციას, რომელიც დღეს გაგვაჩნიაო და კახა კალაძემაც გააკეთა ამასთან დაკავშირებით პრინციპული განცხადება, რომ მომავალი არჩევნები შერეული სისტემით, ანუ ამჟამინდელით ჩატარდება, მაგრამ მაინც განვმარტოთ, რას წარმოადგენს ე.წ. გერმანული მოდელი.**

— ამ შემთხვევაში პარტია პარლამენტში შედის პროპორციული სიით, შეჰყავს თავისი მაჟორიტარებიც, მაგრამ ამ მაჟორიტარების მიერ მოპოვებული ხმები არ ემატება.



**— კი, მაგრამ არ შეიძლება, რომ სიტუაცია ცოტა გავამარტივოთ? ადრე ყველა რაიონს ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, მერე ყველაფერი გადაიყვანეს მოსახლეობის რაოდენობაზე, ახლა ამ პროპორციულით რეგიონები რჩებიან წარმომადგენლების გარეშე.**

— ამ მხრივ მაჟორიტარული სისტემა უფრო დემოკრატიულია, რადგან მაინც პირდაპირ ვირჩევთ ამა თუ იმ ადამიანს. პროპორციულ ნაწილში ჩვენ ვირჩევთ სიით რამდენიმე ლიდერს, რამდენიმე წამყვან ფიგურას და მათი ხმებით გაგვყავს 30–40 ისეთი კაცი, ვის შესახებაც შეიძლება საერთოდ არაფერი ვიცოდეთ.

**— მაშინ ამიხსენით, რატომ უნდა მოვიხიბლო პროპორციული სისტემით, მხოლოდ იმიტომ, რომ უდღეური ბაჩუკი ქარდავა და ნაფტალინწაყრილი ხალხი შევიყვანო პარლამენტში?**

— პროპორციული სისტემა უფრო პარტიების მოთხოვნა იყო და არა მოსახლეობის. ეს ჩანს კიდევაც აქციების მონაწილეთა რაოდენობაში. საერთოდ, პროპორციულის შემთხვევაში მოსახლეობა გავლენას ვერ ახდენს. თუმცა სიტუაცია მაინც შეიცავს საფრთხეს იმ თვალსაზრისით, რომ იგივე მოსახლეობა ცოტა ხნის წინ ხელისუფლებამ დაარწმუნა ოპოზიციასთან ერთად, რომ არსებული სისტემა არის უსამართლო. ხალხი დეტალებში კი არ შედის, უბრალოდ იჯერებს, რომ იყო უსამართლო და უნდა მიგვეღო სამართლიანი.

**— ოპოზიცია რეგიონებში, სადაც ცოტა არ იყოს ბნელა, მოსახლეობას არწმუნებს, რომ სისტემა კი არა, ბიძინა ივანიშვილია უსამართლო.**

— დიახ, არწმუნებენ, რომ ივანიშვილმა მოატყუა. შესაბამისად, როდესაც „ოცნება“ მოიგებს 2020 წლის არჩევნებს, მერე დაიწყებენ, რომ „ოცნებამ“ კი არ მოიგო, გამარჯვება კი არ დაიმსახურა, ისარგებლა უსამართლო სისტემით. აი, შარშან იმიტომ არ შეცვალა სისტემა, რომ იცოდა, დამარცხდებოდა და ეს გამარჯვება არ არის ლეგიტიმური. „ოცნებას“ საფრთხე ექნება არა ახლა, არამედ 2020-შიც. ამიტომაც არის რაღაც კომპრომისული ვარიანტის მოძებნა საჭირო, „ოცნებამ“ კოზირი უნდა წაართვას ოპოზიციას. ვნახოთ, იმედია, ამას მოახერხებს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „შეიკრიბეთ ყველა ერთად? ჰოდა, გამოქანდით ახლა ყველა ერთად და დააფრინდით სააკაშვილს ერთ ადგილზე“ – ფეისბუქიდან




ნათელაშვილის ოფისი წყალწაღებულთა თავშესაფარ ბუხტად იქცა — შტორმი ამოვარდება თუ არა ყველანი იქითკენ გარბიან.

14 ნოემბერს პარლამენტში აბობოქრებული ცუნამის შემდეგაც ასე მოხდა — წყალწაღებულები შალვას ბუხტას მიაწყდნენ და სათათბიროდ დასხდნენ.

— უპრეცედენტო ამბავი მოხდა, აქამდე არასოდეს რომ არ მომხდარა, ისეთი ამბავი მოხდა — ყველა ოპოზიციური პარტია უკლებლივ ყველა, ერთად შეიკრიბა და სათათბირო მაგიდას მიუჯდა. ყველამ დაივიწყა ერთმანეთის მიმართ პირადი სიმპატია — ანტიპატიები და ქვეყნის ინტერესების გარშემო გაერთიანება! — საზეიმო ხმით აცხადებდნენ ნაცები და ევრონაცები.

შეკრებილთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც საჯაროდა და სახალხოდ არაერთხელ დაუფიციათ, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ნაცების გვერდით არასოდეს დაჯდებოდნენ და მათთან არასოდეს ითანამშრომლებდნენ.

აქ იყო ბურჯანაძე, აქ იყო ბესელია, აქ იყვნენ სრულიად უცნობი სახეებიც, რომლებიც თურმე პოლიტიკოსები ყოფილან, მაგრამ საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

— შეიკრიბეთ ყველანი ერთად? ჰოდა, გამოქანდით ახლა ყველა ერთად და დააფრინდით სააკაშვილს ერთ ადგილზე — დაწერა ვიღაცამ ფეისბუქში.

„ერთი ადგილის“ ნაცვლად პატივცემულ ფეისბუქმომხმარებელს სხვა სიტყვა ეწერა, მაგრამ შევცვალეთ, თუმცა არა გვგონია ამან ტექსტის შინაარსზე იმოქმედოს — დაფრენის მისამართი იგივეა.



შეიძლება ვიღაც-ვიღაცებმა გააპროტესტონ — რა გვინდა მიშას „იმაზე“, ჩვენ სხვა ადგილი გვაქვს არჩეული დასაფრენადო — თქვან, მაგრამ ტყუილია, არაფერი გამოუვათ — რაც არ უნდა იუარონ, იძულებითი „პასადკით“ მაინც მიშას „აეროდრომზე“ დასვამენ.

— ყველანი აქ ვართ, მთელი პოლიტიკური ნალები, მთელი პოლიტიკური ელიტა აქ ვართო — რომ იჭაჭებიან, ის სისულელეზე უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრეს, სამოქმედო „გეგმად“ რომ წარუდგინეს ქვეყანას — დროებითი გარდამავალი მთავრობა უნდა ავირჩიოთ, მერე იმ მთავრობამ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნოს პროპორციული წესით და, აი, ეს იქნება ჭეშმარიტი დემოკრატიაო.

რასაც თქვენ ამბობთ, თქვე ჭკუით გაპენტილებო, მაგას დემოკრატია კი არა სახელმწიფო გადატრიალება ჰქვია, სახელმწიფო გადატრიალება!

კარგად დაახვიეთ ეგ თქვენი დროებითი მთავრობა, მაგ „მთავრობის“ მიერ დანიშნული არჩევნებიც ზედ „გადააგორგლეთ“ და სააკაშვილს გადაუგზავნეთ კიევში — იცის მან როგორ და რაში უნდა გამოიყენოს ეგ თქვენი ძვირფასი გზავნილი.



# იყო „ნაცი“, არის „ნაცი“! ძიძიგური – „პაპარაცი“!

## ვინ აუშენა ზვიად ძიძიგურს სამსართულიანი სახლი?



ზვიად ძიძიგურმა უმრავლესობიდან კუდის ამოძუება იმით ახსნა, კონსერვატორები კოლეგებმა „გადამგდებებად“ გვაქციეს. რამდენიმე თვე ვარწმუნებდით საზოგადოებას, ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს, რომ პოლიტიკურ ცვლილებებს განვახორციელებდით. ვინც გუნდის მიტოვებას დაგვაბრალებს, ვეტყვი, რომ როცა ვჭირდებოდით, კონსერვატორებს არასდროს გვიღალატია გუნდური თამაშის პრინციპისთვისო. „არაპროგრესულებო“ ამ „პატიოსან“ კაცს პირობის შესრულებაში ხელი რომ შეუშალეთ, შერცხვა, განგიდგათ და თავად წავიდა მცირერიცხოვანი ამალით, დანაპირების „შესასრულებლად“.



ზვიად ძიძიგურის ამ ასე ვთქვათ, ეროვნული ძალებიდან წამოსული პოლიტიკოსის საპარლამენტო „მოღვაწეობაც“ ისეთივე ულიმღამო იყო, როგორც მთელი მისი პოლიტიკური წარსული, თუ „გამონათებად“ არ ჩავუთვლით 1989 წელს რკინიგზის გადაკეტვას და 30 წლის თავზე მოწყობილ უნიჭო ე.წ. დემარშს. რატომ „ულიმღამო“, ძიძიგურმა სათავისოდ მშვენივრად გამოიყენა პარლამენტარობა, შავი დედალივით გაკეთდაო, გაიკვირვეს ქვემო ქართლელებმა. მოგეხსენებათ, წინა მოწვევის პარლამენტში ძიძიგური რუსთავის მაჟორიტარი გახლდათ „ქართული ოცნებიდან“, რუსთავქალაქსა და მის მცხოვრებზე მეტად, ეს სტაჟიანი პოლიტიკოსი საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა, „ქართულმა ოცნებამ“ რუსთავში თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტური რომ წააგო, ამაში ლომის წილი ძიძიგურსაც მიუძღვისო. რაც გინდათ თქვით და ზვიად-ბატონი ადრეული ახალგაზრდობიდანვე დგამდა „გმირულ-პატრიოტულ“ ნაბიჯებს, 1989 წელს, მშობლიურ სამტრედიაში თანამოაზრეებთან ერთად ლიანდაგებზე წამოგორდა, რუსეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოსაწყობად. წამოწოლას ვინ ჩივის, „ავი ენები“ იმასაც ამბობენ, ამ „გულანთებულმა პატრიოტებმა“, ლიანდაგიც კი აყარესო. ოღონდ ის ვეღარ გავარკვიე, სად წაიღეს უმაღლესი ხარისხის ფოლადისგან დამზადებული რელსები. საქართველოს დაქცევა-გაჩანაგება სწორედ მაგ დროიდან იღებს სათავეს ტვინგაცხელებული ურაპატრიოტების გამოისობით. ამ ყველაფრის გაგებას დიდი ექსპერტობა არ ჭირდება, მაგრამ შეაგნებინებ რამეს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც 30 წლის მერეც ვერ ისწავლა ჭკუა. პარლამენტის წინ რომ დადგები, ტაშს დაუკრავ მაქარაშვილებს, „გაგარინებს“, რუხაძეებს და სხვა ამათთანა გაურკვევლობას, მათ გულანთებულ ახალგაზრდა პატრიოტებს დაუძახებ, საღად მოაზროვნეობაზე რა პრეტენზია უნდა გქონდეს, მით უმეტეს პოლიტიკოსობაზე.

ძიძიგურს სამტრედიული სარკინიგზო „პერიპეტიები“ თუ შეახსენა ვინმემ, ფრიად გაწიწმატდება ხოლმე და ამ აშკარად საბოტაჟნიკურ საქციელს, ახალგაზრდული გულუბრყვილობითა და გამოუცდელობით ხსნის, რაც უცილობლად საპატიებელი ყოფილა. „მამა-მარჩენალ“ შევარდნაძისგან გამდგარ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებს



რომ დაუმშობილდით ზვიად ბატონო თქვენ და კახა კუკავა, მაშინაც გულუბრყვილო და გამოუცდელი იყავით? ეროვნულობასა და ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსმა რა შენიშნეთ ეროვნული ღირებულებების მატარებლისა სააკაშვილსა და მის „საძმოს“, იგივე ბოკერიას? სწორედ ის ძიძიგური ხართ ამ მართლა ქრისტეს ფეხის მკვნეტელ სექტასთან ერთად რომ დაკუნტრუშობდით ქვეყნის მასშტაბით, რომელიც პროვოკაციებს უწყობდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რაც ხშირად ქვების სროლით და ცემა-ტყეპით სრულდებოდა. ბატონ ძიძიგურს 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების პროცესისთვის ტელევიზორით არ მიუდევნებია თვალი, არ დაგვიწყებია, „რევოლუციონერი“ კახა კუკავაც გვახსოვს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჭინკასავით რომ დახტოდა მაგიდებზე ჩაქუჩით და ისე ამტრევდა ყველაფერს, გეგონება ქვეყნის მტრის შტაბში იყო შევარდნილი. კუკავამ 16 წლის თავზეც „წარუშლელი“ შთაბეჭდილება მოახდინა, ნოემბრის ცივ დღეს თეთრ შარვალში გამოწყობილი რომ მოუძღოდა „დემოკრატიის ჭირისუფალთა“ პროცესიას, ჯინსებში „გამოკვართულ“ ნინო ბურჯანაძესა და თეთრ კურტაკ-კოლგოტიან ეკა ბესელიასთან „ჩაპადრუჩკებული“. ინტერნეტსივრცეში გამოდებული ეს ფოტო თავისი კომიკური პერსონაჟებით, „მშრომელი“ ნათელაშვილით, ისტერიჩკა უგულავათი, „მეთვითონა“ დავითაიათი, საქართველოში პირველი სექს-შოფის მფლობელ და შეთავსებით „პოლიტიკოს“ კემულარიათი, პირდაპირი გაგებით მძიმეწონიანი გუბაზია სანიკიძითა და ა.შ. კიდევ კაი ხანს იქნება იუმორთან მწყრალად არმყოფი საზოგადოების პოსტების მასტიმულირებელი.

„გონივრული“ ეჭვი მაქვს, რომ ზვიად ძიძიგურს ნაცებთან სიამტკბილობა არც მაშინ დარღვევია, როცა ნაცების სხვა „სულიერ“ მეგობარ რესპუბლიკელებივით, ოპოზიციურ ფლანგზე აღმოჩნდა. საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ვფიქრობთ, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნაციონალებსა და მათ ე.წ. ოპოზიციას არასდროს ჰქონიათ იდეურ-პოლიტიკური შეუთანხმებლობა, მხოლოდ პირადი, მერკანტილური ინტერესების გამო მოხდა მათი გაყრა. ვის გენპროკურორობა უნდოდა, ვის განათლების, თავდაცვის თუ შს მინისტრობა, სასურველი თანამდებობები რომ ვერ მიიღეს, ქოში უკუღმა ჰყარეს და ოპოზიციონერის მანტია მოიზომეს. ახლა, როცა მათი ჭკუით, კრიტიკული მომენტი დადგა, ისევ შეერწყნენ ერთმანეთს და ისე ჩაებღაუჭნენ, როგორც წყალწაღებული ხავსს. პროპორციული არჩევნების შესახებ კანონის ჩავარდნის ვითომდა გასაპროტესტებლადაც, ისევ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გამოხტნენ, თორემ ამათ დემოკრატია-სამართლიანობა ისე აღელვებთ, როგორც სპილოს გლობალური დათბობა.

ზვიად ძიძიგურის ნაცებთან მჭიდრო მეგობრულ თუ „ბიზნეს-პარტნირულ“ ურთიერთობების შესახებაც არაერთხელ მომისმენია. სამართლიანობის აღდგენას 2012 წლის არჩევნების შემდეგ ელის სისხლიანი ნაცრეჟიმისგან დატერორებულ-რეპრესირებული და „გაკულაკებული“ მოსახლეობა, ერთეული შემთხვევების გარდა, ვინმეს დასჯის და სამართლიანობის შესახებ თუ გაგიგიათ. რომელ სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ლობირებენ დამნაშავე ნაცჩინოვნიკებსო, არაერთხელ უთქვამთ ჩემთვისაც ინტერვიუსა თუ კერძო საუბარში.

კომპეტენტური სანდო წყარო, ნაცჩინოვნიკების ერთ-ერთ მფარველ-ლობისტად ზვიად ძიძიგურსაც ასახელებდა, რასაც ქვემო ქართლელებიც ეთანხმებიან. გარდაბნის რაიონის ყოფილ გამგებელს თემურ ფეიქრიშვილს, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატიც იყო ნაცმოძრაობიდან, ხალხმა წავკისელი ფეოდალი შეარქვა. ფეიქრიშვილს რაიონის კუთვნილი მიწების, განსაკუთრებით საკურორტო ზონაში (წავკისი, კოჯორი, კიკეთი, ბეთანია, ტაბახმელა და ა.შ) მასობრივად გაყიდვას ედავებოდნენ. მყიდველებს შორის უცხოტომელები სჭარბობენ, განსაკუთრებით არაბები. ტაბახმელა-შინდისელებს არაერთხელ უთქვამთ გულისტკივილით, ამ ტერიტორიაზე იყო თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენცია, ეს საამაყო ქალბატონი მეორედ მოკვდებოდა არაბების დასახლების დამნახავიო. ფეიქრიშვილის „კრიშად“ ამ აღებ-მიცემობაში კუდის უფროსის მოადგილე, ფაქტობრივად კი შეფი, ქვემო ქართლის ექს-გუბერნატორ მამალაძის მეჯინიბე ვაჟა ლელუაშვილს ასახელებდნენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პარლამენტს შეფარებული ფეიქრიშვილის მიმართ აღძრული იყო თუ არა სს-ის საქმე ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ, რაც შეეხება ლელუაშვილს, იგი დაპატიმრებულიც იყო, თუმცა მოკლე ხანში სავარაუდოდ საპროცესო გარიგების საფუძველზე გაათავისუფლეს. იმასაც ამბობდნენ, გამოძიებასთან ითანამშრომლა, ეტყობა ყველაფერი დაფქვაო. შს მინისტრის ყოფილი მოადგილის გელა ხვედელიძისა და ვაჟა ლელუაშვილის ახლო ურთიერთობებზეც საუბრობდნენ. მოგეხსენებათ, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გამოქვეყნების ბრალდებით გაასამართლეს ხვედელიძე, თუმცა მსუბუქი სასჯელით გადარჩა. სანდო წყაროს ცნობით, ფეიქრიშვილ-ლელუაშვილის მხსნელ-მფარველი იმხანად რუსთავის მაჟორიტარი ზვიად ძიძიგური გახლდათ. როგორ არ დაიცავდა ქართული მიწის გამნიავებლებს ძიძიგური, როცა ფეიქრიშვილმა და ლელუაშვილმა წავკისში სამსართულიანი ვილა აუშენეს, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, კითხოს წავკისელებს ვისია ეს სახლი და ვინ ხელმძღვანელობდა მშენებლობას. რა ბიზნესი და ფული ჰქონდა ამისთანა „ახალგამომცხვარ“ პარლამენტარ ძიძიგურს, რომელიც ნაცრეჟიმის დროს ოპოზიციონერობდა, რომ ამხელა სასახლე აეშენებინა ფულიანი „სპონსორების“ გარეშეო. იმის მტკიცებას ნამდვილად ვერ დავიწყებთ, რომ ეს ინფორმაცია სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ესეც ფაქტია.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# საარჩევნო სისტემაა თუ რელიგიური დოგმა?

## ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ არ შეიძლება საარჩევნო სისტემა რელიგიური დოგმატიზმის რანგში ავიყვანოთ

***ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა შეაფასეს.***



**ანალიტიკოსი ირაკლი ლატარია:** „სანამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკურ მხარეს განვიხილავთ, ეკონომიკური კუთხით შევაფასო თ. წლის ბოლოა, როდესაც ბიუჯეტი უნდა მივიღოთ. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან ინვესტორები, რომლისთვისაც ძალიან რთული სანახავია საკანონმდებლო ორგანოს ჭიშკარზე ჯაჭვების და ბოქლომების დადება. ამ ფონზე ვერც ერთი ინვესტორი თამამად ვეღარ გადადგამს ნაბიჯს და ასე თუ გაგრძელდა, ლარის კურსის უფრო დაცემას უნდა ველოდოთ. ოპოზიციის მხრიდან ისმის, რომ ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოება მოატყუა, მაგრამ ამ ლოგიკას ვერ გავყვები. საქართველოს კონსტიტუცია სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა და 2024 წელს ქვეყანაში პროპორციული არჩევნები ჩატარდება. დიახ, ბიძინა ივანიშვილი დაგვპირდა, რომ ეს პროცესი 2020 წელს გადმოიწევდა და პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებაც შევიდა, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ქვეყნის მომავალზე არ იფიქრეს. საინტერესოა, იმაზე მაინც თუ იფიქრეს, რომ შეიძლებოდა მოვლენები ქუჩაში გადასულიყო? თუ აწუხებთ, რომ შეიძლება მიმდინარე მოვლენებმა ქვეყანა ეკონომიკურადაც დააზიანოს?“

ირაკლი ლატარიას თქმით, ოპოზიციის ლიდერები, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია აქვთ, უკვე იყვნენ ხელისუფლებაში და თავი ძალადობრივი ქმედებებით და უკანონობით დაგვამახსოვრეს. ანალიტიკოსის თქმით, საქმე გვაქვს გაკოტრებულ პოლიტიკოსებთან, რომლების ერთადერთ მიზანს ქვეყანაში დესტრუქციული მუხტის შემოტანა წარმოადგენს.

„ეს არის ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი. გვინდა თუ არა, არჩევნები ყოველთვის პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ტარდებოდა და 2020 წელსაც ასე ჩატარდება იმიტომ, რომ სხვა გზა აღარ გვაქვს. 2020 წელს პროპორციული სისტემით რომ ჩატარებულიყო, ნამდვილად პოზიტიურად გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამ და მასთან მიბმულმა ძალებმა მშვენივრად იციან, რომ კანონპროექტი უკან ვეღარ დაბრუნდება, მაგრამ მაინც ხელისუფლების შეცვლას და ივანიშვილის წასვლას ითხოვენ. ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილიც წავიდა და „ქართული ოცნებაც“ აღარ არის, ეს ადამიანები რას სთავაზობენ ჩემს ქვეყანას? ჩვენ ხომ ნანახი გვაქვს ხელისუფლებაში მათი ყოფნა? აქციაზე მდგარი ადამიანების უმეტესობა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი აქვს, უკვე იყო ხელისუფლებაში და თავი საკმაოდ მძიმე დანაშაულებრივი ქმედებებით დაგვამახსოვრა. ნინო ბურჯანაძე ორჯერ პარლამენტის თავმჯდომარე და ორჯერ ორეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო, უგულავა ყოფილი მერი, ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივანი და ა.შ. ხომ ვნახეთ მათი მართვა და დანაშაულებები და ახლა რას შეცვლიან? აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი პრობლემები, რომლითაც ნაციონალურ მოძრაობას სურს, რომ „ქართული ოცნება“ თავის რეჟიმზე გადაიყვანოს და სამწუხაროდ, თავის მიზანს ნაწილობრივ, აღწევს.

რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ასეთი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ყველაზე მეტ ხმებს ოცნება აიღებს. ოპოზიციის რიგებში არიან პოლიტიკოსები, მაგალითად, უსუფაშვილი, ხაზარაძე და ა.შ. რომლებმაც ღიად განაცხადეს, რომ ძალადობა არ სურს, მაგრამ იქ დომინანტი ნაციონალური მოძრაობაა, რომელიც სისხლისღვრაზეც კი წავა. ამიტომ ქუჩაში გასული ადამიანი უნდა დაფიქრდეს რა არის პროპორციული არჩევნები, რისთვის გადის და რაც ყველაზე მთავარია, მისი პროტესტი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო ხომ არ გაართულებს. ამ ფონზე, როდესაც ლარს ისედაც პრობლემები აქვს, ინვესტორების დაფრთხობა ძალიან დაგვაზარალებს. რაც ამჟამად ხდება, 20 ივნისის გაგრძელება ანუ კარგად დაგეგმილი პროცესები გახლავთ, ამიტომ „ქართულ ოცნებას“ განსაკუთრებული გონიერება მართებს, რომ პროცესები ქუჩიდან პარლამენტში და დიალოგის რეჟიმში გადაიტანოს.





**„იმედის“ ეთერში პარტია “სოციალ-დემოკრატების” ლიდერი, დეპუტატი გია ჟორჟოლიანი მოსახლეობის განწყობაზე ამახვილებს ყურადღებას.**

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი როგორც „ქართული ოცნების“, ისე ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტების მიმართ, ამიტომ არავითარი პიკეტირება და ბლოკირება ამას არ უშველის. ჩვენ ადრეც გვქონდა წინადადება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ერთი მხრივ, დაცული იყოს პროპორციულობის პრინციპი და მეორე მხრივ, რეგიონალური წარმომადგენლობაც უზრუნველყოფილი იყოს. არსებობს გერმანულზე მარტივი მოდელი, რომელიც მხოლოდ ერთი სიტყვის შეცვლას ითხოვს – მრავალმანდატიანის ნაცვლად, უნდა ეწეროს მრავალმანდატიან ოლქებში. მივმართავ ყველა დეპუტატს, ამ ერთი სიტყვის შეცვლით შესაძლებელია ახალი კანონის შეტანა, რომლის მიღება თავისუფლად შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში. ასე, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია. გვახსოვდეს, რაც ყველაზე მეტად არ უნდა ხალხს და რაც ყველაზე მეტად დააზიანებს ყველა ჯანსაღ ძალას, ეს არის არეულობა. ასეთი სცენარით მოიგებს ერთი მხრივ ის, ვის წინააღმდეგაც პროტესტია მიმართული და მეორე მხრივ ის, ვის წინააღმდეგაც ხალხის განწყობაა ანუ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტები, ხოლო ხალხი ისევ განზე დარჩება. დიახ, ვითარების დაძაბვა მხოლოდ ხელს შეუწყობს ორი ძალის დომინირებას, რომლის კინკლაობა უკვე ყელში ამოუვიდა საზოგადოებას.

**ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე ყურადღებას პროპორციული სისტემის ნაკლოვანებებზე ამახვილებს და მმართველ ძალას ადანაშაულებს, რომ ამ მოდელის მოსალოდნელი უარყოფით შედეგებზე საზოგადოების ინფორმირება არ მოახდინა.**

საპარლამენტო რესპუბლიკა არის სრული გაუგებრობა ქვეყანაში, სადაც პარტიების მაგივრად გვყავს მათი გროტესკული იმიტაციები და თვითმმართველობა კი ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

ამაზე დამატებული პროპორციული საარჩევნო სისტემა ხომ საერთოდ ტრაგიკომიკური ფარსი იქნება.

ცირკი ისაა, რომ ოცნებამ არაფერი გააკეთა, რომ არსებული ვითარებაში გარკვეულიყო და მოსახლეობაც გაერკვია, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს პროპორციულმა საარჩევნო სისტემამ.

ამიტომ პროპორციული არჩევნები რაღაც საკრალური რამ გახდა, მის სიკეთეში ეჭვის შეტანა კი-მიუტევებელი ერესი. “ოცნებამ” ვერ გაბედა რელიგიური დოგმატის რანგში აყვანილ პროპორციულ საარჩევნო სისტემას შეხებოდა.

ოცნებამ თქვა, რომ პროპორციული არჩევნები კარგი და აუცილებელია, მაგრამ ის ამ სიკეთეს არ აკეთებს 2024 წლამდე, ანუ, თვითონვე დაიყენა თავი აბსოლუტურად წამგებიან, გაუმართლებელ მდგომარეობაში, მიიყენა უმძიმესი თვითდაზიანება აუცილებლობის გარეშე.

ამასობაში ის ათობით ერთ-ორკაციანი “პარტია”, რომელიც ხელებს იფშვნეტდა პარლამენტში მოხვედრისა და საბიუჯეტო დაფინანსების მიღების მოლოდინში, გაწბილებული დარჩა.

ეს მოლოდინი და, შესაბამისდ, გაწბილება ამ ჩვენს მრავალტანჯულ პოლიტიკუმს საერთო ჰქონდა და ამიტომ ისეთები გაერთიანდნენ, რომ თვით ყოვლისმნახველი ქართ-



ველი საზოგადოებაც კი სახტად დარჩა.

პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, ძალიან ჰგავს მორევს, რომელიც ერთად ითრევს ფსკერისაკენ მთელს პოლიტიკურ კლასს.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# მოჭკვიანდება თუ არა ერდოღანი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ტრამპმა ურჩია: ნუ იქნები სულელი!

გასულ კვირას მსოფლიოს პოლიტიკოსების ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატებისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ოფიციალური ვიზიტით თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი იმყოფებოდა.

ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერია, როდესაც ერთი ქვეყნის მეთაური სტუმრად ჩადის რომელიმე სახელმწიფოში. მით უფრო, თუ ქვეყნები მოკავშირეებად ითვლებიან. თუმცა, ნატოს წევრ აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობა ერთი თვის წინ საკმაოდ გამწვავდა. ამიტომაც იყო საინტერესო, როგორ ჩაივლიდა პრეზიდენტების დონალდ ტრამპის და რეჯეფ ტაიფ ერდოღანის შეხვედრა არსებული დაძაბულობის პირობებში.

ერდოღანის აშშ-ი ჩასვლამდე ორი დღით ადრე გავლენიანმა გამოცემამ „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერდა, რომ ტრამპს ერდოღანის მოსყიდვა სურსო. გამოცემის ინფორმაციით,



ტრამპმა ტონი შეიცვალა და მუქარიდან შემრიგებლურ პოზიციაზე გადავიდა. თუმცა, უცნობი იყო, როგორ ჩაივლიდა პრეზიდენტების დიალოგი.

პოლიტოლოგების შეფასებით, შეხვედრის პროცესი ისე არ წავიდა, როგორც ტრამპს სურდა. უფრო მეტიც, საკმაოდ დაძაბული და შეიძლება ითქვას მკვახეც აღმოჩნდა. ყოველივე აშკარად ჩანდა გავრცელებულ კადრებიდანაც. დაძაბულობა აშკარად ეტყობოდათ პრეზიდენტების მეუღლეებსაც. გავრცელებული ინფორმაციით, ტრამპმა ერდოღანს შესთავაზა 100 მილიარდიანი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება, საჰაერო დაცვის სისტემის „პეტრიოტის“ და მრავალფუნქციური სამხედრო თვითმფრინავის F-35 მიყიდვა, ქურთების საკითხში თურქეთისთვის მომგებიან ხელშეკრულებას დადება და უკვე დაწესებული სანქციების მოხსნა.

ერდოღანს ტრამპმა იქვე პირობებიც წაუყენა — თურქეთმა უარი უნდა თქვას რუსულ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შეძენაზე, შეცვალოს ამ ქვეყანასთან სავაჭრო ხელშეკრულება. „... ქურთებთან ჩვენ საუკეთესო დამოკიდებულება გვაქვს, რომლებიც თურქეთშიც ბევრი ცხოვრობს“ უთხრა ტრამპმა ერდოღანს.

თავის მხრივ ერდოღანმა ტრამპს დაუბრუნა წერილი, რომელიც სირიაში თურქეთის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ ოქტომბერში მისწერა. შეგახსენებ თ. „... ნუ იქნები სულელიო“... სწერდა დონალდ ტრამპი თურქ კოლეგას და სწორედ ამის შემდეგ დაიძაბა, ფაქტობრივად გაიყინა პოლიტიკური ვითარება ორ მოკავშირე ქვეყანას შორის. ამის გარდა ერდოღანმა ტრამპს თურქეთში ძებნილი გიულენის გადაცემა მოსთხოვა, რომელიც აშშ-ი იმყოფება. სავარაუდოდ, ერდოღანი არც თურქეთის მხრიდან სომხების გენოციდის აღიარების თემას აუვლიდა გვერდს. თუმცა, ეს უკვე კონგრესის „დამსახურებაა“.

ფაქტობრივად, დონალდ ტრამპის და რეჯეფ ტაიფ ერდოღანის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ყველა საკითხი ღიად გადაუწყვეტი დარჩა, რის შესახებ მიაღწიეს შეთანხმებას ერთობლივ ბრიფინგზე არაფერი უთქვიათ. მხოლოდ ერდოღანმა უთხრა ჟურნალისტებს გახმაურებული წერილის დაბრუნების თაობაზე. სამშობლოში მიმავალმა თვითმფრინავიდან გაავრცელა ინფორმაცია, რომ თურქეთმა შესაძლოა შეიძინოს დანადგარი „პეტრიოტი“, თავისი პირობების მიხედვით, მაგრამ რუსულ სისტემაზე უარს არანაირად არ იტყვის.

ექსპერტების შეფასებით, ტრამპი ერდოღანთან დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც ტრამპმა პირდაპირ მოლაპარაკებაში სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. პოლიტოლოგების განცხადებით, თურქეთი რეგიონში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. აქვს რამდენიმე ბერკეტი, რომლითაც შეუძლია პოლიტიკური ვითარების მანიპულირება. ერთ-ერთი მთავარი ბოსფორის სრუტეა. თურქეთის ნებართვის გარეშე არა შავი ზღვის აუზის ქვეყნების გემები შავ ზღვაში ვერ შევლენ. ამასთან, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისითაც საკმაოდ მომძლავრდა. ექსპერტების მტკიცებით, თურქეთი უარს არ იტყვის რუსული შ-400 შეძენაზე, რადგან საიმედო ფარად მიიჩნევს პირადად ერდოღანი. აქვე სათქმელია, რომ პოლიტოლოგები ერდოღანს არასაიმედო პარტნიორად მიიჩნევენ. მათი თქმით, ნებისმიერ მოკავშირეს მიატოვებს და დაუპირისპირდება კიდეც თავისი ინტერესების გათვალისწინებით. როგორ გაგრძელდება აშშ-თურქეთის გაყინული პოლიტიკური ვითარება, სავარაუდოდ ახლო მომავალში გამოჩნდება.

ამასობაში კი ახალ ფაზაში გადავიდა აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის მიერ ტრამპის წინააღმდეგ აგორებული იმპიჩმენტის პროცედურა. კონგრესში მოწმეთა მოსმენებს წამყვანი სატელევიზიო არხები პირდაპირ ეთერში გადასცემენ. უცნაურია, მოწმეებად გამოყავთ ხალხი, რომლებსაც პირადად არ მოუსმენიათ ტრამპის საუბრები, ინფორმაციებს გადმოცემით, მესამე-მეოთხე პირისგან ფლობენ. რესპუბლიკელებმა დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელი ადამ შიფი მიკერძოებაში დაადანაშაულეს. მათი თქმით შიფი რესპუბლიკელებს მოწმეებისთვის კითხვების დასმის უფლებას არ აძლევს. დონალდ ტრამპი სირცხვილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რეალურ მოქმედ პირებს კონგრესში მოსმენებზე არ იბარებენ. რესპუბლიკელი კონგრესმენები სიცრუეში ადანაშაულებენ დემოკრატებს სპეცპროკურორ მიულერს, ჰილარი კლინტონს და დაზვერვის კომიტეტის მოქმედ ხელმძღვანელ ადამ შიფს.

სასურველი მიზნის მისაღწევად, ანუ დონალდ ტრამპის იმიჯის შელახვისთვის დემოკრატები ყველანაირ ხერხს იყენებენ. სამი კვირის წინ მათ ტრამპის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ეჭვი გამოთქვეს. პრეზიდენტი, თურმე ბევრ ჰამბურგერს მიირთმევს და უამრავი რაოდენობით სვავს „კოკა-კოლას“. ამის გამო ტრამპი წონის დასაკლებ პრეპარატებს იღებს, რამაც შესაძლოა მის ჯანმრთელობაზე იმოქმედოსო, ამბობდნენ. გასულ კვირას დემოკრატებს კიდევ ერთხელ გაუცრუვდათ იმედი. დონალდ ტრამპმა გაიარა გეგმიური სამედიცინო შემოწმება. ექიმების დიაგნოზით პრეზიდენტი აბსოლუტურად ჯანმრთელია. თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით, უკვე შეიძლება თქმა, რომ იმპიჩმენტის არანაირი საფუძველი არ არსებობს და არსებული ვითარება მალე განიმუხტება. ვნახოთ, თუ გამართლდება ადმინისტრაციის პროგნოზი.

დანაქადის მიუხედავად, ქვეყნიდან არსად წავალო, ბოლივიის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ევო მორალესი მექსიკაში წავიდა, სადაც მას ქვეყნის ხელისუფლებამ თავშესაფარი მისცა. მორალესის განცხადებით, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა პირადი დაცვის უფროსის რეკომენდაციით. გავრცელებული ინფორმაციით დაგეგმილი იყო მორალესის ფიზიკური ლიკვიდაცია. გარკვეული ძალები ცდილობდნენ დაცვის წევრების 50 ათასი დოლარით მოსყიდვას. მორალესის თქმით, თურმე აშშ-ის წარმომადგენლებმა შესთავაზეს დახმარება ქვეყნიდან წასვლაში. „... იმ თვითმფრინავით რომ მესარგებლა, უკვე გუანტანამოს ციხეში აღმოვჩნდებოდი. მექსიკამ სიცოცხლე შემინარჩუნა“ — განუცხადა მორალესმა ჟურნალისტებს. მისივე თქმით, ვიდრე ცოცხალია პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. აშშ-ის ხელისუფლება მიესალმა ბოლივიაში გადატრიალებას. მათივე განცხადებით, ეს მაგალითი უნდა გახდეს ვენესუელისთვის.

ხელისუფლების სადავეები ბოლივიაში ხელში მეორე სპიკერმა ჟანინ ანესმა აიღო. ეს ქალბატონი ადრე ტელეწამყვანად მუშაობდა. გავრცელებული ინფორმაციით, მისი ნატვრა ბოლივიის ინდიელებისგან (ძირძველი, ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობისგან) გაწმენდა ყოფილა. ინდიელების ტრადიციები სატანისტურ რიტუალებად მიაჩნია.

მიუხედავად მორალესის გადადგომისა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის არჩევისა, ექსპერტების შეფასებით ბოლივია ხელისუფლების გარეშეა. ქვეყანაში გრძელდება მორალესის მომხრეების და ძალოვან სტრუქტურებს შორის დაპირისპირება. ქალაქების ქუჩებში ხელჩართული შეტაკებებია. ყოფილ ხელისუფლების მომხრე მოწინააღმდეგეთა შორის. არის მსხვერპლი — შეტაკებებში დაუზუსტებელი მონაცემებით 15-ზე მეტია დაღუპული. განსაკუთრებით ინდიელებს ეშინიათ ხელისუფლების ცვლილების, რადგან მათი აზრით ამ შემთხვევაში დაიწყება ეთნიკური წმენდა. ექსპერტების განცხადებით, ბოლივიაში ქაოსი მალე არ დასრულდება. მორალესის მომხრეები დანებებას არ აპირებენ. უფრო მეტიც, შეიარაღდნენ და აშკარა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშეა ქვეყანა. ჩიხიდან გამოსავალს კი ჯერ ვერავინ ხედავს.

მოღვაწეობის 14 წლის მანძილზე მორალესმა მოსახლეობის 60% გამოიყვანა უკიდურესი სიღარიბიდან, ამიტომაც სარგებლობს მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებში პოპულარობით თუმცა მეოთხე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ევო მორალესს, ბოლივიის კონსტიტუციიდან გამომდინარე არ ჰქონდა.

როგორც ჩანს სახელმწიფო გადატრიალება ბოლივიაში გარე ძალების მიერ განხორციელდა, რომელსაც მხარი ადგილობრივმა მდიდარმა ფენამაც დაუჭირა საკუთარი კეთილდღეობის მიზნით. ამის თაობაზე ღიად საუბრობს ლათინოამერიკული პრესა. საშუალო ფენის მოსახლეობა კი უკვე გაღატაკდა. ექსპერტები არ გამორიცხავენ ქვეყანაში ჰუმანიტარულმა კრიზისმა დაისადგუროს.



**გია ბურდული**
551 71 27 07





# საქართველოში 140 კაზინოა , რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ხეზე თოკია ჩამოკიდებული

**ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საერთო გაზეთს“ სამოქალაქო მოძრაობა „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ დამფუძნებელი თამარ ჯაფარიძე ესაუბრა:**

- მინდა გამოვეხმაურო ბოლო დღეებში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და ადამიანების პროტესტს. ჩვენი სამოქალაქო მოძრაობა „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ ყველა ჯანსაღ სამოქალაქო პროტესტს დაუჭერს მხარს, სადაც ეროვნული ძალა იქნება გამოკვეთილი, თუმცა ჩვენთვის მთავარია დავინახოთ ძალა, რომელიც ჩვენთან ერთად



იბრძოლებს აზარტული თამაშების რეკლამისა და მთლიანად, ამ შავი ბიზნესის აკრძალვისთვის, რომლის წლიურმა ბრუნვამ უკვე 14 მილიარდი შეადგინა. სამწუხაროდ, არც ძველ და არც ახალ ხელისუფლებას გასჩენია პროტესტი ამ უბედურების გამო. მინდა ვუთხრა რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ადამიანებს, ეროვნული საწყისებიდან წამოსულ პოლიტიკოსებს, რომ სათამაშო ბიზნესის წყალობით, თითქმის ყოველ კვირას ახალგაზრდა ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს და მთავარი გასაპროტესტებელი და განგაშის ასატეხი სწორედ ესაა.

**— პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის წარუმატებელ მცდელობაზე რა აზრის ხართ?**

— მე ვერაფრით გავიზიარებ განწყობას, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა დარჩეს, იმიტომ, რომ მაჟორიტარმა ცხოვრება ააწყეწს „შავ ბიზნესთან“, ვიღაცასთან და რაღაცასთან გარიგებით. ქვეყნის დიდი ქალაქები, რაიონები და დაბები სათამაშო ბიზნესის ობიექტებმა მოიცვა. ივლისის მეორე ნახევრიდან დღემდე აზარტული თამაშების გამო, ოცმა ახალგაზრდამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და რომელიმე მაჟორიტარს თუ გაუჩნდა სურვილი, რომ მათი ოჯახებისთვის მიესამძიმრებინა, მათი დედების გულის ტკივილი გაეზიარებინა, დაინტერესებულიყო მისი მუნიციპალიტეტის მკვიდრმა საკუთარ თავს ასეთი სასტიკი განაჩენი რატომ გამოუტანა. გურჯაანიდან, ქარელიდან და თბილისიდან დაწყებული, სადაც არ მოვიკითხე, არსად, არც ერთი მაჟორიტარი ამით არ დაინტერესებულა და ოჯახებამდე არ მისულა არ მისულა. პირველი არხის ოპერატორის, სანდრო ბერაძის სიკვდილმა ქვეყანა შეძრა, მაგრამ არც ამ ოჯახში მისულა მაჟორიტარი. ერთს არ გაუჩნდა სურვილი, რომ ხმამაღლა ეთქვა, მაპატიეთ ამომრჩევლებო, იმედები ვერ გაგიმართეთ და თქვენი შვილები ვერ დავიცავითო. დიახ, მათმა უნიათობამ მოუკლა ხალხს შვილები და ამაზე მტკივა გული. ვინ წავა და ვინ მოვა, თუ სისტემა იგივე დარჩება. გული მწყდება ეროვნული მოძრაობიდან მოსულ ზვიად ძიძიგურზე, რომელსაც



ერთხელ არ გაუპროტესტებია და უთქვამს — ადამიანებო, ახალგაზრდები გვეღუპება და ვალდებულები ვართ, რაღაც ვიღონოთო. ერთხელ არ გამიგია ქალბატონი ნინო გოგუაძის ხმა, როდესაც მის საარჩევნო უბანში რუპორით ხელში ვიდექი და ვაპროტესტებდა, რომ ლიდერბეთის შენობამ ბავშვებს სათამაშო სკვერი წაართვა. მაშინ სად იყო? რატომ არ გამოვიდა და დადგა ჩვენს გვერდით? თითოეულ მაჟორიტართანუამრავი კითხვა მაქვს. მათი მიუცემელი ხმები რომ არა, შეიძლება ლევან გოგიჩაიშვილის მიერ პარლამენტში გატანილი კანონპროექტი არ ჩავარდნილიყო და ის 20 ახალგაზრდა დღეს ცოცხალი ყოფილიყო. ეს არის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სათამაშო ბიზნესისთვის სარეკლამო სივრცის დახურვას და ლუდომანების ქართული ბარათების უცხოურ საიტებზე დაბლოკვას. სამწუხაროდ, ადამიანებმა, რომლებიც დღეს ქვეყანაში პოლიტიკას ქმნიან, ამ ბინძურ სისტემას მწვანე შუქი აუნთეს.

**— უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობა“, რომელიც ხელისუფლებას უმცირეს გადაცდომას არ პატიობს, სათამაშო ბიზნესის გაძლიერებას არ აპროტესტებს?**

— ეს ის „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელმაც 2004 წელს, თავისი შექმნილი კანონებით სათამაშო ბიზნესს მწვანე შუქი აუნთო და უთხრა რაც გინდა და როგორც გინდა, ისე აკეთეო. სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მიიღეს კანონი, სადაც გათვალისწინებული არ არის ადამიანის უფლებები, მისი ფსიქიკური მდგომარეობა და ქვეყნის დემოგრაფიული სივრცის გაჯანსაღება. ამ კანონისთვის მთავარია ფინანსთა სამინისტრომ სათამაშო ბიზნესი როგორ დაბეგროს, როგორ ამოიღოს ფული და როგორ აწარმოოოს მასთან ფინანსური გარიგება, ამიტომ „ნაციონალური მოძრაობისგან“ მხარდაჭერას არც ველით, მაგრამ 2004 და 2006 წლებში თუ სათამაშო ბიზნესის წლიური ბრუნვა 30 მილიონი იყო, დღეს მილიარდებია. შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს სათამაშო ბიზნესის წლიური ბრუნვა 4 303 193 000 ლარამდე გაიზარდა. 2015 წელს ეს



რიცხვი დაახლოებით 3 მილიარდი იყო, 2014 წელს კი 2 155 209 000 ლარი. ამასთან ერთად, ხუთჯერ გაიზარდა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირების თვითმკვლელობების რიცხვი. გამოდის, რომ ამ ბიზნესს მწვანე აუნთო სააკაშვილის ხელისუფლებამ, მაგრამ დღევანდელმა იმდენად გააღრმავა, რომ ამ შავი ბიზნესის წლიური ბრუნვა 134-ჯერ გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი აქედან სულ რაღაც 39 მილიონ ლარს იღებს. საქართველოში საბანკო სექტორის შემდეგ, სათამაშო ბიზნესის ინდუსტრია



ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, მომგებიანია და, ფაქტობრივად, ხელშეუხებელი სფეროა. ამის მიზეზი გავლენიანი მფარველებია. დაზუსტებით არავინ იცის, რამდენი თანხა შედის ფსონებად, თუმცა საუბარია მილიარდებზე. ამიტომ როცა ქვეყნის მთავარ გამზირზე საპროტესტო აქცია იმართება და არ აპროტესტებენ ყველაზე მთავარს, რაც მოსათხოვი და გასაპროტესტებელია, გაუგებარია. სათამაშო ბიზნესზე, საროსკიპოებისა და ღამის ბარების ბიზნესე არავინ საუბრობს, იმიტომ, რომ აქ დიდი შავი ფულია, რომელიც არჩევნებს ჭირდება.

**— საქართველოში სათამაშო ბიზნესის სწრაფმა ზრდამ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ყურადღებაც მიიქცია. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამას შემაშფოთებელი უწოდა.**

— დიახ, ასეა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შანშანდელ ანგარიშში წერია: „საქართველოში სათამაშო ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით ზრდა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ შემუშავებული სტრატეგიისა და ზედამხედველი მარეგულირებელი ორგანოს ნაკლებობა შეშფოთებას იწვევს. დღეს საქართველოში 140 კაზინო ფუნქციონირებს“, მაგრამ ჩვენთან ეს არავის აღელვებს. ჩვენ ხომ არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ და მეტი სადარდებელი არაფერი გვაქვს. ამიტომ პირადად ჩემთვის, როგორც ერთი, ისე მეორე პოლიტიკური ძალა მიუღებელია, სამარის კარამდე რომ მიათრევენ ერთმანეთს. ამასობაში კაზინოებისა და სამორინეების ქვეყნად ვიქეცით. ჩვენი უბედურება იქამდე მივიდა, რომ სათამაშო ბიზნესი თავის ბინძურ საქმიანობას რუსთაველის აფორიზმებით ამართლებს. ვარკეთილის ბეთლაივს თავზე უზარმაზარი ბანერი აქვს წამოჭიმული „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო“. ასეთი საშინელი ცინიზმი არ მინახავს. ეჭვი მაქვს, რომ ამ ბიზნესს ძალიან ძლევამოსილი პირები ლობირებენ და არა ერთეული დეპუტატები და არავის ადარდებს, რომ ყოველ კვირას ახალგაზრდა ეთხოვება სიცოცხლეს. არავინ უფიქრდება რა შედეგებამდე მიჰყავს ლუდომანიას და გემბლინგს ქვეყანა. დღეს ქვეყანაში სათამაშო ბიზნესის 6 ფლაგმანი კომპანიაა: „აჭარა ბეთი“, „ევროპა ბეთი“, „კრისტალ ბეთი“, „ლიდერ ბეთი“ „ბეთ ლაივი“ და „პროკო ბეთი“. ამ კომპანიებს აქვთ როგორც „ონლაინ“ ისე „ოფ ლაინ“ თამაშები. ანუ სრული პაკეტი პროდუქტების. რეალურად ეს 6 კომპანია ქვეყნაში სათამაშო ბიზნესის ბაზრის 85%-ს აკონტროლებს და ვერავინ დამარწმუნებს, რომ მათ ძლიერი მფარველი არ ჰყავთ. აი, რა არის პირველ რიგში საგანგაშო და გასაპროტესტებელი. ვეკითხები რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ადამიანებს — დღეს ყველა ხეზე თოკია ჩამოკიდებული და ეს თუ არ გადარდებთ, მანდ რატომ დგახართ, რა გაქვთ ადამიანებისთვის სათქმელი?

ნელი თორდია
571 35 36 88



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**— რა საბუთები დამჭირდება სასამართლოში განქორწინებისათვის?**

— თქვენ უნდა მოამზადოთ სარჩელი სპეციალური ფორმით. ეს ფორმა შეგიძლიათ ნახოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს გვერდებზე. თუ თქვენი მოთხოვნა არის მხოლოდ განქორწინება, სარჩელს უნდა დაურთოთ ქორწინების მოწმობა და ასლი / ქორწინების მოწმობა უკან დაგიბრუნდებათ/ და სახელმწიფო ბაჟის — 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.



* * *

**— ვიმყოფები წლების განმავლობაში იტალიაში. მეუღლესთან განქორწინებული ვარ. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჩემი ყოფილი მეუღლე, რომელსაც ჰქონდა ჩემი სახლის გასაღები, ცხოვრობს ჩემს სახელზე რიცხულ ბინაში ქალთან ერთად. ბინა დაქორწინებამდე მქონდა შეძენილი. შემიძლია თუ არა, გამოვასახლო ის ჩემი ბინიდან და რა ფორმით?**

— შეგიძლიათ. თუ დავა სხვა ფორმით არ გვარდება, თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს თქვენს საკუთრებაში არსებული ბინიდან ყოფილი მეუღლის გამოსახლების მოთხოვნით.

* * *

**— ვარ ხანშიშესული ქალბატონი. მივლის მეზობლის ქალი. სურვილი მაქვს, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ბინა მას დავუტოვო. შემიძლია თუ არა, სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება გავაფორმო შინაურული ფორმით?**

— არა. დაგიკონკრეტებთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლის მიხედვით,

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან ბინა არის უძრავი ქონება, თქვენს შემთხვევაში აუცილებელია სამისდღემჩიო ხელშეკრულების დამოწმება სანოტარო წესით.

* * *

**— ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $1191^{1}$-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

* * *

**— ჩემს მეგობარს დაეღუპა მეუღლე, რომლისგანაც ჰყავს ორი შვილი. დედამთილ-მამამთილი პრეტენზიას აცხადებენ შვილის ქონების ნაწილზე. რამდენად სამართლიანია ეს?**

— პრეტენზია სამართლიანია. დაგიკონკრეტებთ:

— თუ გარდაცვლილს დარჩნენ შვილები, მეუღლე და მშობლები- ანუ 1-ლი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები, მისი სამკვიდრო გაიყოფა ამ მემკვიდრეებს შორის თანაბარწილად.

* * *

**— რა არის იურიდიული პირი?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

მე-2 ნაწილი: იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

მე-3 ნაწილი: საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მე-4 ნაწილი: სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უწყებები, დაწესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები.

მე-5 ნაწილი: იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი N3967 — სსმ I, N48, 22.12.2006წ., მუხ.336

* * *

**— როდიდან იწყება ხანდაზმულობის ათვლა სამოქალაქო სამართალში?**

— მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

აქვე მოგახსენებთ, რომ 20120 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდება ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ხანდაზმულობის ვადა ჩერდება არასრულწლოვნის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე ან არასრულწლოვანების პერიოდში სასამართლოსთვის მიმართვამდე.

* * *

**— ჩემმა შვილმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დაჭრა სიმამრი. სასამართლო- ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. დაისჯება თუ არა ჩემი შვილი?**

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-$2^{1}$ ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით.



# ტრანსნაციონალური კორპორაცია „ტამპლიერების ორდენი“





**XIVს-ის დასაწყისისთვის ევროპაში დაახლოებით თხუთმეტამდე რაინდთა ორდენი არსებობდა. ჰოსპიტალიერები ტამპლიერების ორდენზე (ტაძრის რაინდები) უფრო მეტ მიწებს ფლობდნენ, მაგრამ ყველაზე ძლევამოსილი მაინც ტაძრის რაინდთა ორდენი იყო. მხოლოდ ტამპლიერებმა შეძლეს მატერიალურ საფუძვლებზე დაყრდნობით შეექმნათ თავიანთი ორგანიზაციისგან გიგანტური სამეურნეო და საფინანსო სტრუქტურა, გადააქციეს ის ისეთ ტრანსნაციონალურ კორპორაციად, რომლის დარიც შუასაუკუნეების ევროპაში არ მოიპოვებოდა.**

### „ქრისტეს უპოვარ რაინდთა“ ორდენი

1099 წელს ჯვაროსნებმა არაბებს პალესტინის ნაწილი წაართვეს და იერუსალიმი აიღეს. ეს უცნაური იყო, რადგან პორველი ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადება ძალიან ცუდად მიმდინარეობდა — არ იყო არც ფული, არც ორგანიზაცია არსებობდა და არც მოქმედების წინასწარი გეგმა. პაპის მოწოდების თანახმად, ათასობით ქრისტიანი რელიგიური მოტივებით აღტყინებული გაეშურა პალესტინაში ურჯულოთაგან ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად ისე, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, სად მდებარეობდა ეს ქვეყანა, როგორ უნდა მიეღწიათ იქამდე და რა ელოდათ იქ.

მიუხედავად ამისა, ლაშქრობამ დიდ შედეგებს მიაღწია, ჯვაროსნებმა არაბებისგან გაათავისუფლეს იერუსალიმი და პალესტინის ნაწილი. წართმეულ ტერიტორიებზე აღმოცენდა ოთხი ქრისტიანული სახელმწიფო: ედესის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო, ტრიპოლის საგრაფო და იერუსალიმის სამეფო. პალესტინისკენ ათასობით მომლოცველი გაემართა, რომელთაც წმინდა მიწის ხილვა სურდათ. მაგრამ მოგზაურებს სასიამოვნო მგზავრობა როდი ელოდათ, რადგან წმინდა მიწაზეც, ისევე, როგორც ცოდვაში ჩაფლულ მთელ ევროპაში, ადამიანებს უმოწყალოდ ძარცვავდნენ.

ჯვაროსნებმა, რომლებიც პალესტინაში დამკვიდრდნენ, დაიწყეს რაზმების შექმნა, რომლებიც საკუთარ თავზე იღებდნენ მომლოცველების დაცვას და მათთვის ყველანაირი დახმარების აღმოჩენას. მათ შორის პირველები იტალიელები იყვნენ, რომლებმაც



ჰოსპიტალიერების ორდენი დააარსეს. 9 ფრანგმა რაინდმა 1119 წელს ახალი ორდენი „ქრისტეს უპოვარ რაინდთა ორდენი“ (ტამპლიერთა ორდენი) ჩამოაყალიბა.

მაშინ ტამპლიერები ნამდვილად ღარიბები იყვნენ. ეს სიღარიბე იმითაც მყარდებოდა, რომ წესდება კრძალავდა თითოეული რაინდისთვის სამ ერთეულზე მეტი ცოცხალი საქონლის ყოლას. ორდენის სიმბოლო ერთ ცხენზე მჯდომი ორი რაინდი იყო, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მათ ფული მხოლოდ ერთი ცხენისთვის ჰქონდათ. თუმცა, რაინდები ღარიბები რჩებოდნენ, თვით ორდენის მდგომარეობა კი ძალიან მალე შეიცვალა.

ორდენი იზრდებოდა, მოღვაწეობა განაგრძო ევროპაში, მისი განყოფილებები შეიქმნა საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთსა და იტალიაში. რიცხოვნებასთან ერთად იზრდებოდა ორდენის სიმდიდრეც. ტამპლიერების რიგებში შემსვლელი საკუთარი ქონების ნაწილს სწირავდა ორდენს, ხშირ შემთხვევაში, ეს შემოწირულობა ძალიან სერიოზული იყო. მეფეები, ბარონები, გრაფები ორდენს ჩუქნიდნენ უზარმაზარ მიწის ნაკვეთებს და უანდერძებდნენ დიდძალ ძვირფასეულობას. ტამპლიერებმა სიმდიდრის მოგროვების პარალელურად, სხვა ორდენებისგან განსხვავებით, „ფულის კეთება“ დაიწყეს.

### მევახშეები

XI–XII საუკუნეები ყრუ შუასაუკუნეების დროა. მაგრამ ვაჭრობა მაინც ვითარდება, ჩნდება მომავალი მრეწველობის ჩანასახები, რასაც კრედიტის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ქრისტიანული ტრადიცია მევახშეობას კრძალავდა, ამიტომ ეს სფერო იუდეველებს გადაულოცეს. ეს სარისკო ბიზნესი იყო, რადგან ებრაელისთვის ვალის დაუბრუნებლობა ცოდვად არ ითვლებოდა. ამიტომ საპროცენტო განაკვეთი 40%-ს აღწევდა. უცნობია, როგორ იმართლებდნენ თავს ტამპლიერები ღმერთის წინაშე, მაგრამ ორდენმა აქტიურად დაიწყო ფულის გასესხება.

ტამპლიერები ფულს 10 პროცენტად ასესხებდნენ. თავიდან ზედმეტ თანხას აფორმებდნენ, როგორც შემოწირულობას ან ნაჩუქრობას. მოგვიანებით ტამპლიერებმა პაპს სთხოვეს, რომ მას ნება მიეცა მათთვის, რათა ოფიციალურად გაესესხებინათ ფული.

მთელი ევროპა მოიცვა ტამპლიერების ორდენის განყოფილებებმა, რომლებისთვისაც შეიძლებოდა დახმარებისთვის მიმართვა. მე-14 საუკუნისთვის ასეთი განყოფილებების რიცხვმა 5000-ს გადააჭარბა. ყველა ეს „ფილიალი“ (კომტურია) გაერთიანებული იყო ერთ ქსელში, რამაც ტამპლიერებს საშუალება მისცა, შემოეტანათ ევროპის საფინანსო სისტემაში საინტერესო ინოვაცია — ჩეკი.

### ტამპლიერების „ჩეკი“ და სხვა სიახლეები

ყველა რაინდს, რომელიც საომრად მიდიოდა პალესტინაში, ფული სჭირდებოდა იარაღის, აბჯრის, ცხენის შესაძენად და საგზაო ხარჯებისა და საგზლისთვის. რაინდები ფულის გადახდას სამხედრო ალაფის საშუალებით გეგმავდნენ (ითვლებოდა, რომ ურჯულო მუსულმანები პატივად ჩათვლიდნენ ქრისტიანი რაინდისთვის ექსპედიციისთვის გაწეული ხარჯის ანაზრაურებას).

კრედიტი ქონების გირაოს საფუძველზე გაიცემოდა (გირაოს სამი მეოთხედის¾¾ ოდენობით) და რაინდი ხელზე იღებდა პერგამენტის ნაჭერს. ამ დოკუმენტის თანახმად წარმომდგენს ნებისმიერ კომტურიაში (ფილიალში) შეეძლო მასში აღნიშნული თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად განაღდება ადგილობრივ ვალუტაში. საინტერესოა, რომ, ტამპლიერები თითოეულ „ჩეკს“ მფლობელის თითის ანაბეჭდით ადასტურებდნენ.

ტამპლიერები გზებს აგებდნენ. ვაჭრებს, მომლოცველებს, მოგზაურებს ერჩივნათ კარგი გზებით ემოგზაურათ, ვიდრე უგზოობით გატანჯულიყვნენ. გზაჯვარედინებზე ორდენის წევრები მომდევნო კომტურიას დგამდნენ, სადაც მოგზაურებს შეეძლოთ დასვენება, ღამის გათევა, ჭამა და ცხენისთვის საკვების შეძენა. ასევე, შესაძლებელი იყო თანხლებისთვის შეიარაღებული ესკორტის დაქი-



რავებაც. ნებისმიერმა მეწარმემ იცის, რომ ამგვარი „წერტილი“ ხალხმრავალ გზაზე (სასტუმრო, კაფე, ავტოგასამართი სადგური, მაღაზია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი — ყველაფერი ერთჭერქვეშ) — ძალზე სარფიანი საქმეა, მეტაძრეებმა კი ევროპაში შექმნეს ევროპაში მთელი ქსელი ფუნდუკებისა „დაისვენე ტამპლიერებთან“. და ეს XII–XIII საუკუნეა!

და კიდევ, ტამპლიერებმა საბანკო სეიფი შექმნეს. ნებისმიერ მსურველს შეეძლო მათთვის შესანახად ჩაებარებინა ძვირფასეულობა, რომელსაც ზარდახშაში ათავსებდნენ და არავის ჰქონდა უფლება, გაეხსნა ის მფლობელის გარეშე. ყველაფერი შვეიცარიის ბანკზე საიმედოდ იყო. ტამპლიერებს საკუთარ სიმდიდრეს მეფეებიც კი ანდობდნენ. მფლობელის სურვილით ეს ძვირფასეულობა ევროპის ნებისმიერ წერტილში გადაჰქონდათ. ხელშეუხებლობის გარანტია ასპროცენტიანი იყო. ტამპლიერებზე, როგორც ეკლესიის წარმომადგენლებზე, თავდასხმა, მკრეხელობა და დიდი ცოდვა იყო, ისინი ხომ თავად პაპის დაცვის ქვეშ იყვნენ! ამგვარი დანაშაულის ჩამდენი დაიწყევლება და ეკლესიიდან იქნება განკვეთილი. ძვირფასეულობას გაძლიერებული დაცვა იცავდა, ტამპლიერები მარტო პაპის კი არა, საკუთარი იარაღის იმედად იყვნენ!

ტამპლიერები ევროპაში ყველაზე მსხვილი უძრავი ქონების გამყიდველები იყვნენ. ლაშქრობიდან დაბრუნებულ ყველა რაინდს როდი შეეძლო საკუთარი ვალის გადახდა. ისეც ხდებოდა, რომ ზოგი საერთოდ ველარ ბრუნდებოდა უკან. ასეთ შემთხვევებში მიწები და ციხეკოშკები ორდენის საკუთრებაში გადადიოდა. ადგილმამულის მათ მფლობელობაში გადასვლის შემდეგ, ტამპლიერები ვაჭრობდნენ მიწებით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით.

1139 წელს პაპმა ინოკენტი II-ემ მის მიერ გამოცემული ბულის თანახმად, ორდენი საერო ხელისუფლების იურისდიქციიდან გამოიყვანა. ტამპლიერები ამიერიდან აღარ ემორჩილებოდნენ არც მეფის ჩინოვნიკებს და არც თავად მეფეს! ისინი ემორჩილებოდნენ მხოლოდ ღმერთს და პაპს, დედამიწაზე ღვთის ნაცვალს. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა, რომ ტამპლიერებს შეეძლოთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაადგილებულიყვნენ მთელ ევროპაში და გათავისუფლებულები იყვნენ ყველა გადასახადისა და ბაჟისგან! ასეთ პირობებში მხოლოდ ზარმაცი თუ ვერ გამდიდრდებოდა. ტამპლიერები კი სულაც არ იყვნენ ზარმაცები!

მათ ხელში ძალიან დიდი თანხები გროვდებოდა. ტამპლიერებისგან სესხულობდნენ ფულს მეფეებიც კი. როცა ინგლისის მეფე ედუარდ I ხელისუფლებაში მოვიდა, ტამპლიერებმა მას მამამისის ორი ათასი ვექსილი წარუდგინეს. ედუარდმა ისინი გაანაღდა. XIII საუკუნის დასაწყისისთვის ორდენის ყველაზე დიდი მევალე მეფე ფრანცისკ ფილიპე IV იყო, მაგრამ, ინგლისის მეფისგან განსხვავებით, მეფე ფილიპე ვალის გადახდას არ აპირებდა.

16 გვ.

# ტრანსნაციონალური კორპორაცია „ტამპლიერების ორდენი“

15 გვ.

## ფილიპე IV-ის პოლიტიკური ოპერაცია

იგი ისტორიაში შევიდა, როგორც რკინის მეფე. საკუთარი ქვეყნისგან ერთიან სახელმწიფოს ქმნიდა, სადაც მხოლოდ ერთი აზრი არსებობს — მეფის აზრი. იგი ებრძოდა ქვეყნისშიდა ოპოზიციას და ჭირვეული პაპი ბონიფაცი VII თავისი „ჯიბის“ პაპით კლემენტი V-ით შეცვალა. ფილიპე ვნებითა და შიშით უყურებდა ტამპლიერების ორდენს, ხვდებოდა, როგორ საშიშ მოწინაღმდეგედ შეიძლებოდა ქცეულიყო ეს ორგანიზაცია თავისი ფინანსური და საომარი სიმძლავრით (ორდენი



კვლავაც რჩებოდა საომარ ორგანიზაციად, მის ელიტას რაინდები შეადგენდნენ). ამასთან, სულაც არ უნდოდა ფულის მიცემა! და ფილიპემ გადაწყვიტა, ერთი ხელის მოსმით გადაეჭრა ყველა პრობლემა.

22 სექტემბერს სამეფო საბჭოზე მიიღეს გადაწყვეტილება საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ტამპლიერის დაპატიმრების შესახებ. საფრანგეთის ყველა მხარეს მსტოვრები გაგზავნეს. სამეფო ჩინოვნიკებმა, ადგილობრივმა ინკვიზიტორებმა, სამხედრო ნაწილების მეთაურებმა მიიღეს ორმაგი კონვერტები, რომლებზეც მითითებული იყო, რომ ისინი პარასკევს, 13 ოქტომბრის დილით უნდა გაეხსნათ.

## პარასკევი, 13

დათქმულ დღეს კონვერტები გაიხსნა. მათში იყო მეფის ბრძანება ყველა ტამპლიერის დაპატიმრების შესახებ. აღნიშნული იყო მიზეზიც: თურმე ტამპლიერებს აქვთ საიდუმლო წეს-ჩვეულებები, სჩადიან სოდომის ცოდვას, ორდენით წევრად მიღებისას კანდიდატმა იესოს გამოსახულება უნდა შეურაცხყოს და ა. შ. დაპატიმრებულები კი ყველაფერს უარყოფდნენ და ვერ იჯერებდნენ, რომ მეფის ბრძანებით აპატიმრებდნენ მათ, ერთი წლის წინ ამბოხებულებისგან ხომ ჩვენ ვიხსენით, ის ორდენის წევრებისგან სიცოცხლით არის დავალებულიო, მაგრამ ფილიპე თვლიდა, რომ მას არავისი ვალი არ ჰქონდა.

დაახლოებით 1000 ადამიანი დააპატიმრეს და მაშინვე მათი წამება დაიწყეს.

დააპატიმრეს თავად დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე. ის ხომ დაახლოებით ერთი წლის წინ ჩამობრძანდა პარიზში მეფის მიწვევით. იყო საზეიმო დახვედრა, ფილიპემ სთხოვა დე მოლეს, ერთ-ერთი მისი ბავშვის ნათლია გამხდარიყო. ჯერ კიდევ წინა დღეს (12 ოქტომბერს!) დიდი მაგისტრი მეფის ნათესავის, პრინცესა ეკატერინას დაკრძალვას დაესწრო და ფილიპეს გვერდით იდგა. მეფე კი მას უღიმოდა და თავის კეთილგანწყობას და პატივისცემას უდასტურებდა.

პაპი რატომღა დუმს? პაპმა 22 ნოემბერს გამოსცა ბულა, რომლითაც ყველა ქრისტიან მონარქს მოუწოდებდა, დაეპატიმრებინათ ტამპლიერები და ჩამოერთმიათ ორდენისთვის მის მფლობელობაში არსებული მიწები და სხვა ქონება. იწყება ორდენის წევრების დევნა ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და კვიპროსზე.

ჟაკ დე მოლეს დაპატიმრებიდან ორი კვირის შემდეგ ტამპლიერების უმრავლესობა აღიარებს ყველა წარდგენილ ბრალდებას. ჯალათები აწამებენ, ლეგიტისტები კი იწერენ ყველაფერს. აუცილებელია იმის დამტკიცება, რომ ორდენის წევრები სატანას ემსახურებოდნენ, მაშინ ტამპლიერების ქონების კონფისკაცია კანონის შესაბამისად მოხდება.

ტამპლიერებმა სცადეს დაცვის ორგანიზება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ პიერ დე ბოლონია, რომელმაც ბოლონიის უნივერსიტეტი დაამთავრა, სადაც რომის სამართალს შეისწავლიდა და რენ დე პროვენი. ორივე სამართლის დამცველმა ცუდად დაამთავრა სიცოცხლე — რენ დე პროვენს უვადო პატიმრობა მიესაჯა, პიერ დე ბოლონია კი იდუმალებით მოცულ ვითარებაში გაქრა.

## ტამპლიერების ორდენის დასასრული

საფრანგეთში კი ამ დროს „მოსახლეობის დამუშავება“ მიმდინარეობს. ფილიპეს აჯანყების ეშინია. წესდების მიხედვით, ტამპლიერებს კვირაში სამჯერ უნდა დაერიგებინათ პური მშიერი ადამიანებისთვის. მოუსავლიან წლებში (ევროპაში კი ასეთი წლები უფრო მეტი იყო, ვიდრე დიდმოსავლიანი) ორდენის წევრები გლეხებს თესლსაც ურიგებდნენ. ორდენი შუა საუკუნეების უდიდესი საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო. ტამპლიერები კვებავდნენ ათასობით ადამიანს ევროპაში, ბევრი მათგანი მათ შიმშილით სიკვდილისგანაც კი იხსნეს.

ამიტომ ფილიპე ორგანიზებას უწევს და ატარებს მასშტაბურ კამპანიას ორდენის დისკრედიტაციისთვის. პარიზსა და მსხვილ ქალაქებში მრევლის წევრებს კრებენ და აწარმოებენ „განმარტებით სამუშაოს“, ინფორმირებას უწევენ ტამპლიერების „გულწრფელი აღიარებების“ შესახებ, მათ კი სხვებსაც უნდა გადასცენ ეს ამბავი. ცალკე ხვდებიან სახელოვან მოქალაქეებს და მათაც უხსნიან, სინამდვილეში ვინ იყვნენ ორდენის წევრები. საფრანგეთის მეფე



ფილიპე IV შავი პიარის სულისჩამდგმელად შეიძლება მივიჩნიოთ.

1310 წელს პირველი ტამპლიერები დასაჯეს. ამასთან, იმათ კი არ წვავდნენ, ვინც აღიარა დანაშაული, არამედ მათ, ვინც ამბობდა, რომ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო.

1312 წელს კლიმენტ V-მ ვიენის კრება მოიწვია, რომელზეც ორდენის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. პაპმა წინადადება წამოაყენა, ორდენი ერეტიკულად მიეჩნიათ და ამის საფუძველზე დაეშალათ. სხვა ორდენების წარმომადგენლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. საბოლოოდ კი კომპრომისამდე მივიდნენ: თვითონ ორდენი კარგია, მაგრამ მისი წევრები დამნაშავეები არიან. ორდენის მონანიე წევრებიდან ზოგი სხვადასხვა ორდენებში გაანაწილეს, ზოგი კი შორეულ მონასტრებში გაგზავნეს ცოდვების მოსანანიებლად. ტამპლიერების ორდენის ქონება ჰოსპიტალიერების ორდენს გადაეცა საფრანგეთის მეფისთვის ფულადი კომპენსაციის გასაცემად. ორდენის უმაღლეს იერარქებს კი სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ.

## დიდი მაგისტრის წყევლა

1314 წელს დასრულდა პროცესი, რომელიც 7 წელი გრძელდებოდა. დიდმა მაგისტრმა უარი თქვა საკუთარ ჩვენებებზე და განაცხადა, რომ ორდენი უდანაშაულოა. 18 მარტს ჟაკ დე მოლე ცეცხლზე დაწვეს. ფილიპე IV-ის ბრძანებით, მაგისტრს ნელ ცეცხლზე წვავდნენ, ამიტომ მას ჰქონდა დრო, ყველაფერი ეთქვა, რასაც მეფეზე ფიქრობდა.

დიდმა მაგისტრმა დაწყევლა მეფე, პაპი და მეფის ბეჭდის მცველი, პროცესის ორგანიზატორი გიიომ დე ნოგარე და დაპირდა, რომ მალე შეხვდებოდა მათ. კლიმენტ V და ფილიპე IV მართლაც ძალიან მალე გარდაიცვალნენ — კლიმენტ V სასჯელის აღსრულებიდან ერთი თვის, მეფე კი — შვიდი თვის შემდეგ.

რაც შეეხება ტამპლიერების ორდენის აურაცხელ ქონებას, საფრანგეთის მეფეს დიდი იმედგაცრუება ელოდა. ტამპლიერების სკივრებში სულ 400 000 ლივრი აღმოჩნდა. ტამპლიერების ქონებას დღემდე ეძებენ. შესაძლოა, იპოვონ, შესაძლოა — ვერა. ზოგიერთი ისტორიკოსის ვარაუდით, რაინდების უთვალავი ქონება მხოლოდ ლეგენდაა. მეფეს კი მხოლოდ ათასობით ვექსილი დარჩა, რომლებმაც ორდენის დაშლის შემდეგ ფასი დაკარგა. ორდენის ნამდვილი სიმდიდრე იყო შუა საუკუნეებში შეიქმნილი შესანიშნავი საფინანსო სისტემა, რომელიც ფილიპე IV-მ უაზროდ დაშალა.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**



---



**„მემარცხენე ალიანსი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ პარტიის თავმჯდომარეს, იოსებ შატბერაშვილს გარდაეცვალა მეუღლე ცნობილი ინფექციონისტი**

**მანანა შატბერაშვილი**

**პანაშვიდი: 19, 20 ნოემბერს**
**მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი 25, 1 სადარბაზო, სართული 3.**
**გამოსვენება: 21 ნოემბერს 14.00 საათზე, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიდაან, ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს. საპატრიარქოს ტელევიზიის გვერდით.**

---

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს იოსებ შატბერაშვილს მეუღლის**

**მანანა შატბერაშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001